ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოლიკო მეგრელიშვილი, ნანი ცხადაძე

განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა სოციალური ინტეგრაცია საქართველოში (პირველად/მეორად ჯგუფებში ჩართულობა)

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია წულაძე მეცნ.დოქტორი,

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019 წ

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა სოცილაური ინტეგრაციის შესწავლას საქართველოში. ქართულ საზოგადოებაში მრავლად არსებობს სტერეოტიპი ოჯახის შესახებ, საკითხი აქტუალურია იქედან გამომდინარე, რომ განქორწინების მიმღებლობა საზოგადოების მხრიდან დაბალია. ზემოთქმულიდან და გენდერული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, განქორწინებული მცირეწლოვანშვილიანი ქალების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება დამკვიდრებულია საზოგადოებაში. განქორწინებულ ქალბატონებს უჭირთ ინტეგრაცია პირველად და მეორად ჯგუფებთან.

კვლევის მიზანია განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა სოციალური ინტეგრაციის შესწავლა საქართველოში.

მიზნის შესაბამისად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა პირველად ჯგუფებში(ოჯახი, მეგობრები) ინტეგრაციის შესწავლა
- განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა მეორად ჯგუფებში(მეზობლები, თანამშრომლები) ინტეგრაციის შესწავლა

იმისათვის, რომ შეგვესწავლა განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა სოციალური ინტეგრაციის საკითხები პირველად და მეორად ჯგუფებში, ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა. კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, მოვამზადეთ კვლევის ინსტრუმენტი, სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი და ჩავატარეთ 15 სიღრმისეული ინტერვიუ 18-49 წლის ასაკის მცირეწლოვანშვილიან განქორწინებულ ქალებთან. მიღებული მონაცემები გავაანალიზეთ თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეშვეობით.

თეორიულ მასალაზე დაყრდნობისა და კვლევის შედეგების მიხედვით, გამოვლინდა საზოგადოების სტერეოტიპული განწყობა განქორწინებული მხირეწლოვანშვილიანი ქალების მიმართ. აგრეთვე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი აქცენტები პირველად და მეორად ჯგუფებში ინტეგრაციის პროცესში, ქალების მხრიდან ინტეგრაციის ხელშემწყობი სხვადასხვა სტრატეგიები. ასევე გამოიკვეთა განსხვავებული პრობლემები პირველად და მეორად ჯგუფებთან ინტეგრაციის პროცესში.

Annotation

Oliko Megrelishvili, Nani Tskhadadze

Social integration of women with infant children (integration in primary and secondary groups)

This paper refers to social integration of women with infant children (integration in primary and secondary groups). There are many stereotypes in Georgian society about family. Nowadays, this issue is important and urgent in Georgian society, because permissiveness toward divorce is low. Because of these reasons and gender stereotypes toward women with infant children is established stereotypical attitudes in Georgian society. For divorced women integration is very difficult with primary and secondary groups.

The aim of the research is to study social integration of women with infant children (integration in primary and secondary groups).

Based on the research aim, the following objectives have been identified:

- To study social integration of divorced women with infant children in primary groups(family, friends)
- To study social integration of divorced women with infant children in secondary groups(neighbours, kins)

In order to study social integration issues of divorced women with infant children in primary and secondary groups, as qualitative research, as particular in-depth interview was used. Our respondents were 15 divorced women with infant children and their age was from 18 to 49 years. Qualitative content analysis was used for analyzing women's narratives.

Based on the theoretical material and the information received within the research, stereotypical attitudes of Georgian society toward divorced women with infant children

were identified. There are also important emphasis in the process of integration into primary and secondary groups, various strategies that support women's integration.There were also different problems in the process of integration with primery and secondary groups.

სარჩევი

1.შესავალი 7

საკვლევი საკითხის აქტუალობა 7

კვლევის მიზანი და ამოცანები 10

ჰიპოთეზა 10

კვლევის მეთოდი 11

შერჩევა 11

კვლევის ინსტრუმენტი 11

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა 12

კვლევის შეზღუდვა 12

3.თეორიული ნაწილი 14

4.ემპირიული ნაწილი 30

4.1.განქორწინების გამომწვევი მიზეზები 30

4.2. განქორწინების შედეგები 34

4.3.პირველად ჯგუფებთან ინტეგრაცია 38

4.4. მეორად ჯგუფებთან ინტეგრაცია 45

4.5.თვითსტიგმა 50

5.დასკვნა 53

გამოყენებული ლიტერატურა 55

დანართი #1 60

დანართი #2 65

1.შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა

ქართულ საზოგადოებაში მრავლად არსებობს სტერეოტიპი ოჯახის შესახებ. 2011 წელს კავკასიის ბარომეტრის ფარგლებში პირველად დაისვა შეკითხვა „ყოველთვის გამართლებულია თუ არა განქორწინება“. 2011-დან 2017 წლამდე, განქორწინების მიმართ უარყოფითად განწყობილთა კლების ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, 2011 წლის გამოკითხულთა 60% მიაჩნდა, რომ განქორწინება არასდროს არის გამართლებული, 2013 წლის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა და შეადგენდა 56%-ს, კლების დინამიკა 2015 წელსაც გაგრძელდა და შეადგინა 48%, ხოლო 2017 წელს 45% (კავკასიის ბარომეტრი, 2011, 2017).

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ნათელია, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულება განქორწინების მიმართ არის უარყოფითი, თუმცა, ტენდენცია მეტად პერმისიული ხედვისკენ იცვლება მოცემული დროის მონაკვეთში. მიუხედავად ამისა, საკითხი კვლავ აქტუალურია 2017 წლის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რადგან გამოკითხულთა 45%, კვლავ მიიჩნევს განქორწინებას გაუმართლებელ აქტად. განქორწინების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გავლენას ახდენს განქოწინებულის სტატუსის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულებასთან.

განქორწინებულები არიან ადამიანები, რომლებიც იმყოფებდნენ ქორწინებაში და მათი ქორწინება შეწყდა. შესაბამისად, იურიდიულად გაფორმდა განქორწინების აქტი, ხოლო განშორებულები არიან ადამიანები, რომელთა ქორწინებაც

იურიდიულად არ იყო გაფორმებული და მოხდა წყვილის კავშირის დაშლა (*წულაძე, 2005).*

განქორწინების, განშორების შემდეგ წყვილი იწყებს ცალ-ცალკე ცხოვრებას. უმეტესწილად, განქორწინების, განშორების შემდეგ მეურვეობა შვილზე ეკისრება დედას, შესაბამისად, მას ეკისრება ბევრად მეტი პასუხისმგებლობა მცირეწლოვანი შვილის მიმართ, იქნება ეს აღზრდის თუ მატერიალური უზრუნველყოფის საკითხები. მეტწილად, ტრადიციული ოჯახების შემთხვევაში, მეუღლესთან განქორწინების, განშორების შემდეგ ქალბატონები ბრუნდებიან დედმამისეულ სახლში, რადგანაც არ არიან მატერიალურად ძლიერები და უჭირთ დამოუკიდებლად თავის გატანა, ბავშვის უზრუნველყოფა. მშობლებთან საცხოვრებლად გადასვლა დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან, როგორებიცაა მშობლების მხრიდან განქორწინებულის, განშორებულის სტატუსის მქონე შვილის კონტროლი, უმეტესად, განქორწინების მიმართ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებებიდან გამომდინარე. მშობლებთან გადასვლის შემდეგ, „გამოთხოვილ“ ქალბატონს ოჯახი მკაცრად უკონტროლებს განრიგს. კვლევის - „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები პოლიტიკასა და ბიზნესში“ - ფარგლებში, ერთ-ერთი ქალბატონის ნარატივში იკვეთება, რომ მას უმძიმდა ოჯახის დანგრევა არა საზოგადოების აზრის, არამედ მისი ოჯახის წევრების აზრის გამო (ACT, 2013).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ განქორწინებული მცირეწლოვანშვილიანი ქალები საზოგადოებასთან ინტეგრაციაში აწყდებიან რიგ სირთულეებს, როგორც მეორად (თანამშრომლები, მეზობლები), ისე პირველად (ოჯახის წევრები, მეგობრები) ჯგუფებთანაც კი.

ქართულ საზოგადოებაში ქალისთვის სტიგმას წარმოადგენს განქორწინებულის სტატუსის ქვეშ ცხოვრება. ამ სტატუსის თავიდან ასარიდებლად ქალბატონები ნებისმიერ ფასად ინარჩუნებენ ოჯახს. 2013 წელს გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით

ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ქალთა ნარატივებში იკვეთება სტერეოტიპული ხედვა განქორწინებისა და განქორწინებული ქალბატონების მიმართ.

კვლევითი პროექტი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევით კომპონენტებს. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები მთელი საქართველოს მასშტაბით. კვლევის თვისებრივ კომპონენტში ქალბატონების ნარატივებში გამოიკვეთა, რომ ნაწილი მათგანისთვის ქართველი ქალი არის გამძლე, ამტანი და მომთმენი, მან ოჯახის შენარჩუნებისთვის ყველაფერზე უნდა დახუჭოს თვალი, ქმრის ღალატზე და ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც კი. თავიანთ ჩაგრულობას ქალბატონები ოჯახის სიწმინდის, ურყეობის ტრადიციით ამართლებენ, ტრადიციის მიხედვით, ისინი ვალდებულნი არიან, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ ოჯახი. სწორედ ეს არის საზოგადოების წნეხი, რომელიც ქალბატონების მხრიდან ინიცირებულ ოჯახის დანგრევას აბრკოლებს (ACT, 2013).

მსგავსი სტერეოტიპული ხედვები იკვეთება საქართველოს მასშტაბით UNFPA-ს მხარდაჭერით 2010 წელს ჩატარებულ კვლევაში, დედაქალაქის მოსახლეობის 35-59 წლის ქალთა ნარატივებიდან რამდენიმე საგულისხმო მოსაზრება იკვეთება. ოჯახის ურღვევობის ტრადიციის კონტექსტით, ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს: „მარტო ქალის ცხოვრება იმდენად საშინელებაა, რომ თუ ქმარი ძალიან არ გირტყამს, სჯობს, ისევ შენ გაუგო შენს ქმარს და ოჯახი გქონდეს... გარდა ამისა, განქორწინებულ ქალს ყოველთვის გარკვეული სტიგმა დასდევს საზოგადოებაში“ (ჩიტაშვილი, ჯავახიშვილი, არუთინოვი, წულაძე & ჩაჩანიძე, 2010, 87). აღნიშნული კვლევები იმის მაჩვენებელია, რომ განქორწინებული ქალები არათუ მეორად, არამედ პირველად ჯგუფებთან ინტეგრაციაშიც კი პრობლემებს აწყდებიან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განქოწინების შემდეგ ქალბატონებს ესაჭიროებათ ფინანსური გაძლიერება, რათა არჩინონ მცირეწლოვანი შვილ(ებ)ი, შესაბამისად, მათ უნდა დაიწყონ მუშობა. სამსახურის ძიების პროცესში მათი ოჯახური მდგომარეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს, იქნება ეს მცირეწლოვანი შვილის ყოლის თუ განქორწინებულის სტატუსი (ACT, 2013).

კვლევის მიზანი და ამოცანები

მოცემული კვლევის მიზანია, სწორედ განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა სოციალური ინტეგრაციის შესწავლა საქართველოში.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა პირველად ჯგუფებში (ოჯახი, მეგობრები) ინტეგრაციის შესწავლა
- განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა მეორად ჯგუფებში (მეზობლები, თანამშრომლები) ინტეგრაციის შესწავლა

ჰიპოთეზა

საკვლევი ჰიპოთეზაა, რომ განქორწინებული მცირეწლოვანშვილიანი ქალები მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან სოციალური ინტეგრაციის კუთხით არა მხოლოდ მეორად, არამედ პირველად ჯგუფებთანაც კი.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. კვლევის მეთოდად სიღრმისეული ინტერვიუს შერჩევა განაპირობა საკითხის სენსიტიურობამ. მეთოდმა სიღრმისეული ინფორმაცია მოგვცა განქორწინებული ქალების ინტეგრაციაზე პირველად და მეორად ჯგუფებთან. ქალბატონები პირისპირ ინტერვიუს დროს გამოხატავდნენ განცდებსა და ემოციებს, ამ ყველაფრის ერთობლიობამ საშუალება მოგვცა, წამოგვეწია ისეთი საკითხები, რისი გათვალისწინებაც კვლევის დაგეგმვისას ვერ მოხერხდა.

შერჩევა

15 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალებთან 18-49 ასაკობრივ ჯგუფში, ვისაც ჰყავდა მცირეწლოვანი ერთი შვილი მაინც, იყო არარეგისტრირებული/საეკლესიო/რეგისტრირებულ ქორწინებაში ერთხელ მაინც, განქორწინებიდან გასული იყო ერთ წელზე მეტი დრო. შერჩევის მეთოდად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. კერძოდ, შეირჩნენ დასაქმებული და დაუსაქმებელი რესპონდენტები. დასაქმებულთა შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო მათი გამოცდილება სამსახურის პოვნისა და შენარჩუნების პროცესში, ხოლო დაუსაქმებელთაგან მნიშვნელოვანი იყო გამოცდილება სამსახურის შერჩევის პროცესში.

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტია საკვლევი ამოცანების მიხედვით შედგენილი სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი. რესპონდენტებთან ჩატარებული

სიღრმისეული ინტერვიუების შემდეგ მოხდა აუდიო მასალის ტრანსკრიპტად ქცევა და პროგრამა Nvivo-ს მეშვეობით მონაცემების დამუშავება და ანალიზი. მონაცემები გაანალიზდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

განქორწინების შესახებ ქართული კვლევით-სამეცნიერო ნაშრომები მცირე რაოდენობით არსებობს, თუმცა ნაკლებად მოიპოვება განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა პრობლემების შესახებ ნაშრომები. მოცემული კვლევა სამეცნიერო მასალებს გაამრავალფეროვნებს და შესაძლოა გამოიკვეთოს ახალი პრობლემატიკა, რომელიც ახალ სამეცნიერო კვლევის საფუძველი გახდება. გარდა ამისა, ნაშრომი საინტერესო იქნება განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიანი ქალების სოციალური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, სამთავრობო და არასამთვრობო სექტორისთვის, რათა მათ შეძლონ რეკომენდაციების შემუშავება, დაგეგმონ სტრატეგიები სამიზნე ჯგუფის სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

კვლევის შეზღუდვა

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ვიკვლევთ მხოლოდ 15 განქორწინებულ ქალს თბილისის მოსახლეობიდან, და არა რეგიონებიდან. რაც განსხვავებულ სურათს მოგვცემდა, რადგან თბილისში მეტი შესაძლებლობაა, თუნდაც სამსახურის მოძიების, ბავშვის განვითარებისთვის ზრუნვის, აგრეთვე ნაკლებია ნაცნობ-მეზობლური კავშირები, ხოლო რეგიონებში პირიქით,

სამსახურის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა და მეტი ნაცნობ-მეზობლური კავშირი, რაც იწვევს განქორწინებული ქალის მიმართ მეტ კონტროლს. ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ რეგიონებში, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში, ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს განქორწინებული ქალი, ვიდრე თბილისში.

3.თეორიული ნაწილი

მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ განქორწინება თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილი გახდა (Willers, 1993). მაკრეის (1978) მიხედვით, 1958-1971 წლებში "განქორწინება ამოვარდა მორალური ფასეულობების სიიდან", ადამიანები სულ უფრო მეტად ცდილობენ განიხილონ კონკრეტული განქორწინების შემთხვევის გარემოებები, განქორწინებულების გაკიცხვის და აბსოლიტური მორალური წესის თავს მოხვევის ნაცვლად (Thornton, 1985). განქორწინების კოეფიციენტი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, 1960-1992 წლებში, საქართველოში შეინიშნებოდა განქორწინების რაოდენობის ზრდა, რაც დღეს კიდევ უფრო თვალსაჩინოა (სულაბერიძე & სულაბერიძე, 2014). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 1994 წლიდან 2018 წლამდე 0,6 პრომილედან 2,8 პრომილემდე გაიზარდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018).

განქორწინების მიზეზები მრავალგვარია, დაწყებული ადრეულ ასაკში ქორწინებიდან, დასრულებული ქალების დასაქმებით. სტატიაში „განქორწინების ტენდენციები საქართველოში 1960-2012 წლებში“, განხილულია მზია ბექაიას კვლევა, რომელიც შეეხება გასული საუკუნის 70-იან წლებში განქორწინების მიზეზებისა და შედეგების შესწავლას. მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად იკვეთება, რომ განქორწინებათა მიზეზები მრავალგვარია და ერთი შეხედვით უმნიშვნელო მიზეზიც კი შეიძლება გახდეს განქორწინების გამომწვევი. განქორწინების ძირითად მიზეზებს კი წარმოადგენს: ქორწინება ადრეულ ასაკში, ღალატი, ძალადობა როგორც ცოლის, აგრეთვე ბავშვის მიმართ, ალკოდამოკიდებულება, სექსუალური ძალადობა, სიღარიბე, ცოლ-ქმრის მშობლების მათ ცხოვრებაში ჩარევა და სხვა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით განქორწინების ინიცირება ძირითადად ქალების მხრიდან ხდება. აგრეთვე, სასამართლოშიც ძირითადად ქალბატონებს შეაქვთ

სარჩელი მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით. იმ შემთხვევაში, როცა ორივე მეუღლე თანახმაა განქორწინებაზე, ყოველგვარი სასამართლო დავის გარეშე, მარტივი პროცედურით დგება განქორწინება (სულაბერიძე & სულაბერიძე, 2014).

European Sociological Review-ში გამოქვეყნებულ კვლევაში განხილულია განქორწინების გამოცდილება სამ სოციალურ კონტექსტში. ევროპული ღირებულებების შესასწავლად, მკვლევარებმა გამოიყენეს 44 ქვეყნის მონაცემი. კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ პერსონალური განქორწინების გამოცდილება - მშობლეთა განქორწინება 18 წლის ასაკამდე (სოციალური კონტექსტი); მშობლების განქორწინება 18 წლის ასაკის შემდეგ, ბავშვობის ასაკში განქორწინება და ნათესავების განქორწინება (მოზარდის ცხოვრების კონტექსტი) და ქვეყნის განქორწინების კურსი (ნაციონალური კონტექსტი) არიან დაკავშირებული განქორწინებისადმი მიმღებლობასთან. შეაჯერეს ევროპის 44 ქვეყნის 2008 წლის მონაცემები განქორწინების მიმართ მიმღებლობის კუთხით. მოლდოვაში ეს მაჩვენებელია 3.1, შვედეთში - 8.2, რაც შეეხება საქართველოს, მისი მაჩვენებელია 4.11-ია. საქართველო საშუალო მონაცემზე (5,58) დაბლა დგას განქორწინების მიმართ მიმღებლობის კუთხით (Sieben& Verbakel, 2013). კვლევის ფარგლებში გაანალიზებული ქვეყნების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი #2

მიმღებლობა განქორწინების მიმართ, 44 ევროპული ქვეყნის მაგალითი

ქვეყანა	საშუალო მიმღებლობა განქორწინების მიმართ	განქორწინების მაჩვენებელი(ყოველ 100 ქორწინებაზე)
მოლდოვა	**3,10**	**47,25**
სომხეთი	3,30	16,41
თურქეთი	3,37	15,52
საქართველო	**4,11**	**10,15**
ბოსნია-ჰერცოგოვინა	4,24	6,18
ჩრდილო კვიპროსი	4,32	15,92
ალბანეთი	4,41	16,96
უკრაინა	4,42	76,37

პოლონეთი	4,55	25,4
კვიპროსი	4,72	26,80
რუმინეთი	4,74	23,88
ხორვატია	4,75	21,50
მაკედონია	4,91	8,23
სერბეთი	4,94	22,21
იტალია	5,02	22,04
ჩრდილო ირლანდია	5,10	49,80
ბულგარეთი	5,19	50,88
სლოვაკეთი	5,22	44,80
ლატვია	5,27	48,00
მონტენეგრო	5,36	13.35
ესტონეთი	5,38	57,14
ირლანდია	5,42	16,32
რუსეთის ფედერაცია	5,45	59,66
ლიტვა	**5,60**	**42,88**
ბელორუსი	5,65	47,51
ჩეხეთი	5,81	59,67
ბელგია	5,87	77,53
უნგრეთი	5,95	62,72
პორტუგალია	5,99	61,06
საბერძნეთი	6,09	24,60
დიდი ბრიტანეთი	6,17	49,80
ავსტრია	6,21	55,93
გერმანია	6,38	50,91
შვეიცარია	6,47	47,22
სლოვენია	6,59	33,51
ჰოლანდია	6,67	43,54
ლუქსემბურგი	6,71	50,97
საფრანგეთი	6,75	49,93
ესპანეთი	7,29	58,21
ფინეთი	7,30	43,44
ისლანდია	7,39	33,43
ნორვეგია	7,5	40,43
დანია	7,87	39,32
შვედეთი	**8,22**	**42,47**
მაქსიმუმი	**8,22**	**77,53**
მინიმუმი	**3,10**	**6,18**
საშუალო	**5,58**	**38,83**
სტანდარტი	**1,19**	**18,51**

(Sieben & Verbakel, 2013)

ცხრილის მიხედვით, ზოგადი კანონზომიერება შემდეგია - რაც იზრდება განქორწინების მიმართ მიმღებლობა, მით მეტია განქორწინების საშუალო მაჩვენებელი. რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი და მიმღებლობა შეიძლება გახდეს დამაბრკოლობელი თუ წამახალისებელი მიზეზი განქორწინებისთვის.

ლიტვაში ჩატარებული კვლევის, განქორწინების სოციო-ეკონომიკური დეტერმინანტების თანახმად, განქორწინების სოციო-ეკონომიკური დეტერმინანტები დროთა განმავლობაში იცვლება: პროცესი მუდმივად ვითარდება და დამოკიდებულია საზოგადოების მოდერნიზაციის დონეზე. უილიამ ჯ. გუდმა (1962;1993) ივარაუდა განქორწინების მაღალი რისკის შესახებ საზოგადოების მეტად პრივილეგირებულ ჯგუფებს შორის, მოდერნიზაციის ადრეულ პერიოდში, როცა განქორწინება კვლავ შერჩევითი ქცევა იყო (selective behavior). მისი ვარაუდით, როდესაც განქორწინება შეეჩევითი ქცევა აღარ იქნებოდა და საზოგადოების ყველა ფენისათვის გამახასიათებელი გახდებოდა, თანამედროვე საზოგადოებაში ნორმატიული ქცევად დამკვიდრდებოდა. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ლიფზერმა და დურელინმა (2006) ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვითაც, ცოლის დასაქმება ზრდის განქორწინების რისკს ლიტვასა და პოლონეთში, ამცირებს ლატვიაში და არ აქვს გავლენა ჩეხეთის რესპუბლიკაში, აღმოსავლეთ გერმანიაში, უნგრეთსა და სლოვენიაში. რუსეთში ქალების დასაქმების ეფექტი უმნიშვნელოა და სტატისტიკურად არაღირებული (Maslauskaite, Jasilionien, Jasilionis, Stankuniene & Shkolnikov, 2015).

America Journal of Sociology-ში გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის მიხედვით, ქალების განათლება და დასაქმება შესაძლოა ზრდიდეს განქორწინებისადმი და განშორებისადმი მიმღებლობას, რადგან ქალბატონებს წვდომა აქვთ ახალ იდეებსა და ღირებულებებთან, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდნენ ტრადიციულ ღირებულებებს. ქორწინების ასაკი არის ინდიკატორი ქორწინებისთვის მზაობისა

და დახარჯული დროისა საქორწინო პარტნიორის ძებნაში. ახალგაზრდა ასაკში ქორწინება შეიძლება ნიშნავდეს ქორწინების მიმართ ნაკლებ ვალდებულებებს (Thornton, 1985). ადრეული ქორწინება უფრო მეტი ალბათობით სრულდება განქორწინებით, რადგან ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან იმისთვის, რომ ქორწინების პასუხისმგებლობები გაიაზრონ (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017). შესაბამისად, პასუხისმგებლობების გაუცნობიერებლობა და მოგვიანებით ღირებულებების ცვლილება, წყვილს შორის ქორწინების რღვევის ერთი-ერთი მიზეზი ხდება.

კავკასიის ბარომეტრის 2011 და 2017 წლის მონაცემების შედარებისას საკითხში - „ყოველთვის გამართლებულია თუ არა განქორწინება“ გამოიკვეთა მონაცემთა სხვაობა წლების მიხედვით. კერძოდ, 2011 წლის მონაცემებით, ქალთა და მამაკაცთა 47%-ს მიაჩნდა, რომ განქორწინება არასდროს არ არის გამართლებული, ხოლო 2017 წელს სურათი საგრძნობლად არის შეცვლილი, ქალთა 22, ხოლო მამაკაცთა 32 პროცენტს მიაჩნია განქორწინება ყოველთვის გაუმართლებელ მოვლენად (კავკასიის ბარომეტრი, 2011, 2017). ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ როგორც ქალების, აგრეთვე მამაკაცების მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულება განქორწინების მიმართ არის უარყოფითი, თუმცა ტენდენცია შემწყნარებულურია მოცემული დროის მონაკვეთში. განქორწინების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება პირდაპირ კავშირშია განქოწინებულის სტატუსის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულებასთან.

აშშ-ში მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ იკლო ისეთმა ქორწინებების რაოდენობამ, რომლებიც ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილით იყო გამოწვეული, მაგრამ დღესაც იზრდება ისეთი ქორწინებების რაოდენობა, რომელიც განქორწინებით მთავრდება. განქორწინების კოეფიციენტი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვეთრად გაიზარდა და საუკუნის ბოლოს პიკს მიაღწია, ხოლო შემდეგ ოდნავ შემცირდა (ცხრილი #1). 1990-იანი წლების მაჩვენებელი სხვა პერიოდებსა და

საზოგადოებებთან შედარებით, აშშ-ში მაღალია. ეს მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია მაგალითისთვის იტალიაში, ისრაელსა და იაპონიაში.

ცხრილი #1

აშშ-ში განქორწინების დონის მაჩვენებლები 1000 მაცხოვრებელზე, 1930-1994 წ.წ.



(კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008, 475)

კალჰუნისა და სხვების (2008) მიხედვით, ათი ამერიკელიდან ცხრა ზრდასრულ ასაკში ერთხელ მაინც ქორწინდება, თუმცა ქორწინებაში ყოფნის დროს ისინი ბედნიერები არ არიან. განქორწინების სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია: დაქორწინენული წყვილების 2/3 ერთმანეთს შორდება, მათი 32% შორდება ქორწინებიდან 5 წელზე უფრო ადრე, 60% - 10 წელზე უფრო ადრე.

European Sociological Review-ში გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის თანახმად, განქორწინების დეტერმინანტი შესაძლოა რამდენიმე ფაქტორი გახდეს, ყველაზე გავრცელებული ფაქტორებია: ცოლის დასაქმება, ოჯახის ფინანსური

მდგომარეობა, ბავშვის არყოლა, წყვილის შეუთავსებლობა (Kalmijin& Poortman, 2006). განქორწინების მზარდმა კოეფიციენტმა ქალები იძულებული გახადა დაეწყოთ საკუთარ შემოსავალზე ზრუნვა და სამსახურის ძიება. აგრეთვე შეიცვალა დამოკიდებულება ცოლების დასაქმების მიმართ (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალები მეტად არიან ინიციატორები განქორწინებისა, აგრეთვე აღმოჩნდა, რომ ბევრი სოციალურ-ეკონომიური დეტერმინანტი უფრო ძლიერ ეფექტს ახდენს ქალის განქორწინებაზე, ვიდრე კაცის განქორწინებაზე. კვლევის დასკვნების მიხედვით, ცოლის დასაქმება ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორია განქორწინების გადაწყვეტილების მისაღებად. დასაქმებას შეუძლია ქალი გახადოს მეტად დამოუკიდებელი, რაც ერთ-ერთ განმაპირობებელი ფაქტორია ქორწინების მოშლისთვის. ტრადიციებიდან გამომდინარე, ქმარი უარყოფითად არის განწყობილი ცოლის დასაქმების მიმართ. ლიტერატურიდან და კვლევებიდან გამომდინარე, გამოიყო ქალის დასაქმებასთან დაკავშირებით სამი არგუმენტი, მაგრამ ყველაზე დამაჯერებელი ქალის დამოუკიდებლობაა. დასაქმება აძლევს ქალს მაღალ თვითშეფასებას, რაც საშუალებას აძლევს ქალს, საკუთარი ძალებით უზრუნველყოს თავის მომავალი. რაც შეეხება ფინანსურ პრობლემებს, მეტი ეფექტი აქვს ქალის მიერ ინიცირებულ განქორწინებაზე, ვიდრე მამაკაცის ან ორივეს მხრიდან ინიცირებულ განქორწინებაზე. მესამე, ხშირად ნაკვლევი ფაქტორი არის დამაკავშირებელი ეფექტი(the bonding effect) შვილებისა. მრავალი კვლევის თანახმად, წყვილები ბავშვებით მეტად თავს იკავებენ განქორწინებისგან, ვიდრე უშვილო წყვილები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შვილები მცირეწლოვნები არიან. სექსუალური და/ან ხასიათის შეუთავსებლობა არის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი განქორწინებისა, რაც იწვევს განქორწინების ზრდას (Kalmijin& Poortman, 2006). აგრეთვე განქორწინების ბევრ მიზეზს ასახელებს კალჰუნი და სხვები (2008). ამერიკელების განქორწინების მიზეზად ხშირად სახელდება ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ფიზიკური და ემოციური ძალადობა, გენდერულ საკითხებზე შეუთანხმებლობა, სექსუალური დაუკმაყოფილებლობა.

კვლევების მიხედვით ზოგი ქორწინება თავიდანვე მიდრეკილია განქორწინებისკენ, განქორწინების მაჩვენებელი მაღალია შემდეგ კატეგორიებში: წყვილი ქალაქში ცხოვრობს; ორივე მუშაობს, მაგრამ მათი შემოსავალი არც ისე მაღალია; ადრე დაქორწინდნენ; ქალს ეგალიტარული (თანასწორობისთვის მებრძოლი) დამოკიდებულება აქვს შრომის განაწილებისთვის და კაცს კი -არა; წყვილი რელიგიური არ არის; ორივე ლიბერალურია; ორივე პესიმისტურად უყურებს ცხოვრებას; ერთ-ერთის ან ორივეს მშობლები განქორწინებულები არიან.

ცვლილებებმა გენდერულ როლებში, ღირებულებებში, განაპირობა განქორწინების მაჩვენებლის ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. განქორწინება ხშირ შემთხვევაში სერიოზულად აზიანებს ინდივიდებს, განსაკუთრებით კი ქალებსა და ბავშვებს, რადგან მათი ცხოვრების ხარისხი განქორწინების შემდეეგ მცირდება (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008). მსგავსად აშშ-სა განქორწინება აზარალებს ქალებს საქართველოში რიგი მიზეზების გამო. განქორწინების მიზეზებითან ერთად საიტერესოა განქორწინების შედეგები. განქორწინების შემდეგ ქალის შემთხვევაში თავს იჩენს რიგი პრობლემები, როგორებიცაა: ეკონომიური სიდუხჭირე, საცხოვრებლის არქონა, სტრესი, საზოგადოების მხრიდან სტიგმა და ა.შ.

მეტ-ნაკლებად ტრადიციულ საზოგადოებებში მრავლად არსებობს სხვადასხვაგვარი სტერეოტიპი. გამონაკლისი არც ქართული საზოგადოებაა, აქაც მრავლად არსებობს სტერეოტიპი ოჯახში ქალის როლის შესახებ. სტერეოტიპია გარკვეული სოციალური ჯგუფის შესახებ ინდივიდის ცოდნა, რწმენები და მოლოდინები (dictionary.css.ge), რაც ხშირად ნეგატიური შინაარსისაა. რაც უფრო ტრადიციულია საზოგადოება, მით მეტი რაოდენობით სტერეოტიპია გავრცელებული მასში. ყველა საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვაგვარი გენდერული სტერეოტიპი, ნორმები, რომელთა მიხედვით განსაზღვრულია ქალისა და მამაკაცის მოსალოდნელი ქცევა.

ამ მხრივ გამონაკლისი არც ისრაელია. სტიგმატიზირებულია განქორწინებული ქალი ისრაელშიც. სოციალური კლიმატი ახალგანქორწინებული ქალის მიმართ სპეციფიკურია. ბევრი განქორწინებული ქალი, განქორწინების აქტის შემდეგ, შორდება ადრინდელ მეგობრებს, განსაკუთრებით მათ, ვინც მეგობრობის გაგრძელება ყოფილ ქმართან გადაწყვიტა. ისრაელში განქორწინებული ქალის მიმართ არსებული სოციალური განწყობების მიხედვით, ნაკლებად არის ხელშეწყობილი საზოგადოების მხრიდან, მისი განქორწინების შემდგომი ურთიერთობები. განქორწინებულ ქალს უჭირს იპოვოს ახალი სოციალური და/ან ინტიმური ურთიერთობები. 28 წლის ებრაელი მასწავლებელი ქალბატონის ნარატივის მიხედვით, განქორწინება ისრაელში ნიშნავს სტიგმას. განქორწინებული ქალი თავს გრძნობს დამნაშავედ და თავის მართლება უწევს (Katz & Pesach, 1985).

ისრაელის მსგავსად, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მსგავს პრობლემებს აწყდებოდნენ განქორწინებულები. Price-ს და McKenry-ს (1989) თანახმად, განქორწინებული ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პრობლემა არის სოციალური კავშირების მხარდაჭერის ნაკლებობა. მათ შორის, ყველაზე ახლო მეგობრების მხრიდანაც კი კარგავენ მხარდაჭერას.

განქორწინებული ქალების მიმართ არსებობს სტერეოტიპი, რომელიც დაკავშირებულია მათ სტატუსთან. კოენი (1980) აღნიშნავს, რომ სიტყვა განქორწინებული ნეგატიური კონოტაციის მქონეა მორალის თვალსაზრისით, ძირითადად ქალების მიმართ. ვილერსს ნაშრომში “Stigmatization of divorced persons: effects of multiple divorce and gender” მოჰყავს ჰალემის მოსაზრება, რომელიც აღწერს საზოგადოების სტერეოტიპულ შეხედულებას განქორწინებულ ქალებზე, განქორწინების შემდეგ ქალს გზა ეხსნება "ექსტაზის ბილეთისა და ამორალურობის ლიცენზიისკენ" (Willers, 1993,19). გარდა ამისა, განქორწინებული ქალი არის მომხიბლავი, ინტელექტუალური, დამოუკიდებელი, ძლიერი და დაქორწინებული კაცებისთვის მიმზიდველი. ეს გენდერული სტერეოტიპი

საზოგადოებაში ცოლისა და დედის შესახებ დამკვიდრებული შეხედულების საწინააღმდეგოა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს განქორწინებული ქალების მიმართ ნეგატიური ხედვა. ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი გენდერული სტერეოტიპები შესაძლოა იყოს მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი განქორწინებული ქალების სტიგმატიზაციისა. უფრო მეტიც, ასეთი სტერეოტიპები ხელს უწყობს გენდერულ განსხვავებებს განქორწინების სტიგმატიზაციაში (ibid).

განქორწინებული ქალი, ზოგადად, სტიგმატიზებულია და თუ ეს ხდება დასავლეთის ლიბერალურ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ან თუნდაც აღმოსავლეთის მეტად განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ისრაელი, მით უმეტეს, არსებობს მოლოდინი, რომ ის სტიგმატიზებული იქნება არადასავლურ ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორიცაა საქართველო.

UNFPA-ს გამოკვლევის მიხედვით, დამოკიდებულება განქორწინებული მამაკაცისა და განქორწინებული ქალის მიმართ გენდერულ ნორმებს ეყრდნობა. განქორწინების შემდეგ, საზოგადოების მხრიდან განქორწინებული ქალის მიმართ ჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება, განქორწინებასაც მას აბრალებენ. ერთ-ერთი კვლევის მონაწილის ნარატივის თანახმად, განქორწინებული ქალის უფლებები ძალიან შეზღუდულია, რადგან რელიგიური მრწამსისა და ტრადიციების გათვალისწინებით, ნორმად არ არის მიჩნეული საკუთრების ქალიშვილებისთვის გადაცემა: „თვლიან, რომ განქორწინებული ქალი ცუდია. განქორწინებული ქალი არის პოტენციური მეძავი. მას არავის აღარ აკონტროლებს და ამიტომ შეუძლია ჰქონდეს თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება, რაც პირდაპირ ტრაგედიად განიხილება. ასევე მიიჩნევენ, რომ განქორწინებულ ბავშვიან ქალზე არავინ დაქორწინდება, ამიტომაც იგი ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგება: სად წავიდეს, სად იცხოვროს? იმის გამო, რომ სახლი ქალს მემკვიდრეობით არ ერგება, ქალი ხდება უსახლკარო, რჩება ქუჩაში. ეკონომიკური პრობლემის გამო, მას არ იღებს მშობლების ოჯახიც. ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ სახლი ვაჟისაა და მშობლებს არ სურთ, უკან დაიბრუნონ საკუთარი ქალიშვილი. ქალს

ფაქტობრივად წასასვლელი არ რჩება“ (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017, 63). ნარატივი ეკუთვნის აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებს, აზერბაიჯულ თემში შედარებით მძიმე ვითარებაა ქალებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, თუმცა მსგავსი სიტუაციაა მთელ საქათველოში. გენდერული უთანასწორობის გამოვლინება საქართველოში, ცხადად იკვეთება ხელმეორედ დაქორწინების შემთხვევაში. ქალის რამდენჯერმე დაქორწინება უფრო უარყოფითად აღიქმება საზოგადოების მხრიდან, ვიდრე კაცის (იქვე, 63). ქალებმა, რომლებმაც მიიღეს თავიანთი ძირითადი იდენტობა მეუღლის როლიდან, შესაძლოა გაცილებით მეტი სირთულეები შეხვდეთ განქორწინებისას. ამ ქალებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ცოლის იდენტობაზე, შესაძლოა ცხოვრების ისეთ სფეროებში შეექმნათ პრობლემები როგორებიცაა, სოციალური, ეკონომიკური და ემოციური (Price & McKenry, 1989).

ქართულ საზოგადოებაში ქალის შესახებ დამკვიდრებული სტერეოტიპებია: „ქალის ადგილი სახლშია, ხოლო მამაკაცისა - სახლს გარეთ, რომ ქალი უნდა იყოს რბილი, დამთმობი, მზრუნველი, რომ მას არ შეუძლია წარმატებით მართოს და უხელმძღვანელოს დიდ საქმეს, რომ მას ევალება მხოლოდ წვრილმანი, ყოველდღიური საქმეების შესრულება, რომ ის კარგი შემსრულებელია, მაგრამ არა შემოქმედი, რომ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები მამაკაცისას ჩამოუვარდება. ქალის მოვალეობაა, თავი მოაწონოს მამაკაცს, შეასრულოს რეპროდუქციული ფუნქცია, იზრუნოს ქმარზე, საკვებსა და სისუფთავეზე” (UNFPA, 2016, 6).

საქართველოში სტერეოტიპულია ხედვა სამუშაო ადგილზეც, ქალების მიმართ მათ თანამშრომლებს, უფროსებს რიგი სტერეოტიპები აქვთ. შესაძლოა მათი სამსახურში აყვანის მიზეზი გახდეს უბრალოდ კარგი გარეგნობა და არა კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, შესაბამისი მოლოდინით. ერთ-ერთი ქალის ნარატივიდან იკვეთება:

> ერთხელ გასაუბრებაზე მივედი კაცთან. მაქსიმალურად ვეცადე ჩამეცვა მოკრძალებულად - შავი შარვალი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, არავითარი მაკიაჟი. როდესაც ოთახში შევედი, მან მითხრა, რომ მას ესმოდა (რატომ მავიწროებდნენ) და მე ვიყავი იმ კატეგორიის ქალი, რომლის შევიწროებაც უნდა მომხდარიყო... მისი აზრით, ეს კომპლიმეტი იყო. მე ტირილი დავიწყე, რადგან არაფრის თქმა ან გაკეთება არ შემეძლო (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017, 58).

საინტერესოა „პატრონის“ ცნების ფენომენი ქართულ საზოგადოებაში. „პატრონად“ მიიჩნევა ქალის მამრობითი სქესის ნათესავი (მამა, ძმა, ბიძაშვილი და ა.შ.) ან ქმარი. ქალები მათი მფარველი „პატრონების“ მიხედვით დაყოფილნი არიან ხელმისაწვდომებად და ნაკლებად ხელმისაწვდომებად. ქალი განქორწინების შემდეგ ხდება ხელმისაწვდომი, მარტივია მამაკაცების მხრიდან მათი სექსუალურად შევიწროება:

> როდესაც ჩემი პირველი ქმარი და მე დავშორდით, ყველა კაცი, იქნებოდა ის ნათესავი, ნათესავის მეგობარი, ჩემი ძალიან ახლო ნათესავი, უბრალოდ ნაცნობი თუ მეგობრის მეგობარი, ყველა კაცი ცდილობდა ჩემთან ფლირტს, რადგან ფიქრობდნენ, რომ შეეძლოთ ამის გაკეთება, რადგან იმ დროს დაუცველი ვიყავი, რადგან ჩემ გვერდით არ იყო კაცი. ისინი ფიქრობდნენ, რომ თუ ქალი მარტოხელა დედაა მამის, ძმის და ქმრის გარეშე, მაშინ ის დაუცველი და ხელმისაწვდომია (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017, 58).

საქართველოში ოჯახის დანგრევა, არ აქვს მნიშნვლეობა განშორება თუ განქორწინება, ხშირია, თუმცა საზოგადოების მხრიდან მოწონებული აქტი არ არის. განქორწინება განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ქალბატონებს, რომლებიც ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ სტიგმატიზირებულნი არიან და ნაკლები შანსი აქვთ ცხოვრების თავიდან დაწყებისა და ხელახალი ქორწინებისთვის (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017).

ემოციურ პრობლემებს საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზაციასთან ერთად აღრმავებს ის გარემოება, რომ განქორწინებული ქალები საზოგადოებასთან ინტეგრაციაში აწყდებიან რიგ სირთულეებს, იქნება ეს მეორად (თანამშრომლები, მეზობლები) თუ პირველად ჯგუფებთან (ოჯახის წევრები, მეგობრები) ინტეგრაციაც კი.

UNFPA-ს ანგარიშის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი მშობლები ხედავენ, წყვილს შორის ხშირ კონფლიქტურ სიტუაციებს, ხშირად ურჩევენ შვილებს, რომ ოჯახი დაანგრიონ. თუმცა, სხვა რესპონდენტების აზრით, მშობლები მხარს არ უჭერენ ოჯახის დანგრევას, მიუხედავად ბევრი მაპროვოცირებელი ფაქტორისა, მათ შორის ძალადობისა (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017)

განქორწინების შემდეგ ქალი უმეტესწილად იძულებულია დაბრუნდეს დედმამისეულ სახლში, რიგი მიზეზებიდან გამომდინარე. მათთან გადასვლის შემდეგ, „გამოთხოვილ“ ქალბატონს ოჯახი მკაცრად უკონტროლებს თითოეულ ნაბიჯს. ერთ-ერთი ქალბატონის ნარატივში იკვეთება, რომ მას უმძიმდა ოჯახის დანგრევა არა საზოგადოების აზრის, არამედ მისი ოჯახის წევრების აზრის გამო (ACT, 2013).

სწორედ საკუთარი საცხოვრებელი სახლის არქონაა მიზეზი იმისა, რის გამოც ქალები, მეტწილად, ოჯახის შენარჩუნებას ამჯობინებენ. „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა 2017“-ის მიხედვით, ბევრ ქალს არ შეეძლო დედმამისეულ სახლში დაბრუნება, რადგან ოჯახის წევრები მათ არ იღებდნენ უკან. ამის მიზეზი ხშირ შემთხვევაში ოჯახის მძიმე ეკონომიური მდგომარეობაა, მათ არ აქვთ შესაძლებლობა „გამოთხოვილი“ ქალიშვილისა და შვილიშვილების რჩენისა. სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა, როდესაც და-ძმასთან გვაქვს საქმე. ქართული ტრადიციების მიხედვით, გათხოვების შემდეგ ქალს უფლება აღარ აქვს დედმამისეულ სახლზე, სახლი რჩება ვაჟს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალებს,

რომლებსაც ოჯახის დანგრევა უხდებათ, თავშესაფარი არ აქვთ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017).

განქორწინებული ქალების სტიგმატიზაცია ინტერპერსონალურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ დონეზე, აგრეთვე გავლენას ახდენს მათზე. იმის გამო რომ ქალები აღარ არიან დაქორწინებულები, შესაძლოა საზოგადოებამ, რომელიც არის ნორმალური და სასურველი სოციალური სტატუსის მქონე, ისინი უარყოს და მიიჩნიოს დევიანტად. შესაძლოა ისინი მიჩნეულ იქნან არასტაბილურ პარტნიორებად მეგობრული ურთიერთობისთვის. შედეგად, განქორწინებული ქალები აღმოაჩენენ, რომ აღარ არიან ჩართული იმ სოციალურ წრეში, რომლის წევრებიც განქორწინებამდე იყვნენ. ზემოთქმულის თანახმად, გერსტელმა (1987) აღმოაჩინა, რომ განქორწინებულის სტატუსი ნიშნავს განქორწინებამდე არსებული სოციუმიდან ამოვარდნას. მეგობრების თანადგომა ეხმარება განქორწინებულ ქალს ახალი სოციალური სტატუსის შეგუებაში, სოციალური თანადგომის ნაკლებობა კი უკიდურესად ნეგატიურ შედეგს იწვევს (Willers, 1993).

ვილერსი (1993) იმოწმებს ჰარტს, რომლის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, სტიგმა აღმოჩნდა განქორწინების შემდეგ ქალის ყოველდღიურობის ნაწილი. რესპონდენტები საუბრობდნენ რამდენიმე განსხვავებულ სიტუაციაში სტიგმის შესახებ - სამუშაო ადგილას, ბინათმესაკუთრის მხრიდან, სოციალურ ინტერაქციებში - ეს ყოველივე მნიშვნელოვნად მოქმედებს თვითშეფასებაზე (ibid).

გერსტელის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა შეაფასეს ახლობელი ადამიანების განქორწინების შემდგომ დამოკიდებულების ცვლილება. გერსტელი (1987) ვარაუდობს, რომ საზოგადოების ტოლერანტულობა განქორწინებული ქალების მიმართ გაიზარდა, განქორწინებასთან დაკავშირებული სტიგმა გაქრა მხოლოდ ზოგადი გაგებით. მან ჩაატარა კვლევა და გამოკითხა 104 განქორწინებული რესპონდენტი, მათ სთხოვეს, რომ

დაესახელებინათ პირები, რომლებთანაც ჰქონდათ ურთიერთობა და განქორწინების შემდეგ მათი დამოკიდებულება შეიცვალა. კითხვარში მოცემული ცხრილის მიხედვით, რესპონდენტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ თითოეულ ადამიანს, თუ რატომ და როგორ შეეცვალათ მათთან ურთიერთობა. საბოლოოდ, მან აღმოაჩნა, რომ განქორწინებულთა ინფორმაციით, ურთიერთობების ცვლილება მათი განქორწინების შედეგია. ისინი ხშირად გრნობდნენ, რომ მეგობრები და ნათესავები ერთ-ერთ მეუღლეს დამნაშავეს უწოდებდნენ, ხოლო მეორეს უდანაშაულოს. კვლევაში გამოხატული შედეგები მანიშნებელია იმისა, რომ განქორწინების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, კვლავ ტრადიციულისკენ იხრება. ნებისმიერ შემთხვევაში, დამნაშავედ ცნობა ხელს უწყობს სტიგმატიზებულის განცდის გამძაფრებას. შედეგად, განქორწინებული ადამიანები იძულებულნი არიან მათ გარშემო წარმოქმნილი განწყობები მართონ, რათა არ იყვნენ სტიგმატიზებულნი (Willers, 1993).

ოჯახის ურღვევობისადმი მსგავსი დამოკიდებულება გამოიკვეთა საქართველოში „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ კვლევაშიც 2017“. ნარატივების მიხედვით, განქორწინება მიუღებელ ფაქტად ითვლება და ოჯახის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი ქალია და არა მამაკაცი:

> ვფიქრობდი, რომ ოჯახის მთლიანება უნდა შემენარჩუნებინა, ჩემი პირველი ქორწინება დაინგრა, ახლა კიდევ მეორე... ვიფიქრე, თუ მეორედაც განვქორწინდებოდი, ხალხი ჩემს პატიოსნებაში შეიტანდა ეჭვს. მე ბავშვების გამოც ვცდილობდი. მათ მამა ისევე სჭირდებათ, როგორც დედა“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017, 95)

განქორწინების მაჩვენებლის ზრდასთან ერთად მძაფრდება ტრადიციული საზოგადოების რეაქცია. საზოგადოების მიმღებლობის გასაზრდელად სხვადასხვა ქვეყნებში ატარებენ სოციალურ კამპანიებს. მაგალითისთვის განქორინებული ქალების მხარდასაჭერად და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის,

ბანგლადეშში ჩატარდა სოციალური კამპანია ვირუსული ვიდეოს სახით, ვიდეოს სახელწოდებაა „დიახ, მე განქორწინებული ვარ“ (Yes, I’m divorced, নতুন ভালোবাসা). ვიდეოში განქორწინებული ქალი ყვება განქორწინების შემდგომ ცხოვრების სირთულეებზე: სრულიად დავნებდი ცხოვრებას, მაინტერესებდა, შემეძლო ვყოფილიყავი მარტო და კვლავ ბედნიერი? დამავიწყდა როგორი გრძნობაა, იყო ცოცხალი; ჩემი დღე იწყებოდა ძალიან ბევრი შეკითხვით; ვფიქრობდი, რომ ყველა მე განმსჯიდა; იქ სადაც მივდიოდი, ვგრძნობდი რომ ყველა მე მიყურებდა და ყველა ჩემზე; საუბრობდა, მაგრამ ხმამაღლა არავინ არაფერს ამბობდა. ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ, დაძლიე და იმოძრავე! ჩემი ახლობელი ადამიანები დამშორდნენ, დიდი ხნის განმავლობაში დანებებული ვიყავი ამ ბრძოლაში. სხვებმა რატომ უნდა გადაწყვიტონ ჩემი ბედი? რატომ უნდა დავიმალო სხვებისგან? დიახ, მე განქორწინებული ვარ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა დავშორდე ჩემს საყვარელ ადამიანებს. ჩემს თავს ტკივილი რატომ უნდა მივაყენო ბედნიერებისგან გაქცევით? და ამიტომაც მე გადავწყვიტე, მივცე ჩემს თავს შანსი ახალი დასაწყისისთვის. პირველ რიგში ჩემი თავის სიყვარულით (Grameenphone, 2019).

მსგავსი სოციალური კამპანია ჩატარდა საქართველოშიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, თუმცა ეს იყო ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სახელწოდებით “He for she”. კამპანიის ფარგლებში სპორტის წარმომადგენელი ქალები და მამაკაცები მონაწილეობდნენ. კამპანია გაეროს პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მიმდინარეობდა (Un Woman Georgia, 2019)

4.ემპირიული ნაწილი

მოცემული კვლევის მიზანი იყო განქორწინებულ მცირეწლოვანშვილიან ქალთა სოციალური ინტეგრაციის შესწავლა საქართველოში. კვლევის პროცესში მოპოვებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, გამოვლინდა ქართველი განქორწინებული მცირეწლოვანშვილიან ქალთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემები. კერძოდ, მონაცემების მიხედვით კვლევის ამ ნაწილში ვისაუბრებთ განქორწინების გამომწვევ მიზეზებზე; განქორწინების შედეგებზე, სირთულეებზე ემოციებზე; განქორწინების შემდეგ ინტეგრაციაზე პირველად და მეორად ჯგუფებთან, სირთულეებზე სამსახურის ძიების პოცესში; სამომავლო გეგმებზე.

4.1.განქორწინების გამომწვევი მიზეზები

სანამ უშუალოდ პირველად და მეორად ჯგუფებთან ინტეგრაციის საკითხებზე გადავიდოდით, რესპონდენტებს ვთხოვეთ გაეხსენებინათ თავიანთი ქორწინების პერიოდი, მოგონებები, გარემოებები, ოჯახის წევრებთან დამოკიდებულებები. მათ ისაუბრეს ქორწინების პირველი პერიოდის ჰარმონიულობის შესახებ, თუმცა მომდევნო პერიოდში შეიქმნა დაძაბულობა, რაც გამოწვეული იყო რიგ შემთხვევებში ქმართან შეუთავსებელი ხასიათით, მის ოჯახის წევრებთან კონფლიქტის ან ურთიერთობაში მესამე პირის (ქალის) გამოჩენით. მათი ქორწინება იყო ადრეულ ასაკში შექმნილი, რაც განქორწინების ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა. სწორედ ამ ფაქტორის გამო, წყვილებს არ ჰქონდათ ოჯახისაგან განცალკევებით ცხოვრების შესაძლებლობა, მატერიალური სახსრები, ამიტომაც იძულებული ხდებოდნენ ეცხოვრათ მშობლებთან. კალჰუნისა და სხვების კვლევის მიხედვით ადრეულ ასაკში ქორწინება და შემოსავლის სიმცირე ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია რამდენიმე ფაქტორთაგან,

რომელთა თანახმადაც ქორწინება იმთავითვე განწირულია, მიდრეკილია განქორწინებისაკენ (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008).

> ჩვენ ვიყავით კლასელები და საკმაოდ დიდი ხანი ვიყავით ერთად, ერთმანეთს შევეზარდეთ ფაქტობრივად და ძაან უცებ გადავწტვიტეთ დაოჯახება, მე ვიყავი 17 წლის რომ გავთხოვდი. ვცხოვრობდით მის ოჯახთან ერთად, ქორწილი და ხელის მოწერა არ გვქონია, მაგრამ ერთად ვიყავით 4 წელი. იმ პერიოდში ერთად დავიწყეთ მუშაობა ორივემ ვენდისში, პარალელურად ორივე ვსწავლობდით (ნ.ხ., 24 წლის)

განქორწინების მიზეზებზე საუბრისას რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ ოჯახთან ერთად ცხოვრებაზე, აგრეთვე ოჯახის წევრებთან დაძაბულ, ან კარგ ურთიერთობაზე. დაძაბული ურთიერთობების შემთხვევაში, განსაკუთრებით აქტუალური იყო დედამთილის ფაქტორი. რესპონდენტთა ნაწილის ნარატივების მიხედვით, დედამთილები არიან ტრადიციული ქართველი დედები რძლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით და შვილის მიმართ მიჯაჭვულობით. ეს დამოკიდებულება შეიძლება ქორწინების მოშლის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიმზეზად ჩავთვალოთ.

> ცოტა ეგოისტური დამოკიდებულება ჰქონდა მის დედას, როგორ შეიძლება დილას ყავა გაუკეთო, ეგოისტური მიდგომები, დედიკოს შვილები რომ არიან, „აწი მე რაში გჭირდები“ და მსგავსი ფრაზებით თავის შეცოდებას ცდილობდა. რომ ყვებოდნენ, რომ მსგავსი რაღაცები ხდებოდა, არ მჯეროდა 21-ე საუკუნეში. მთელი ტრადიციების დაცვით გავთხოვდი, შეყვარებულობის დროს სხვანაირი ჩანდა და თანაცხოვრების დროს რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი. ძაან ნორმალური დამოკიდებულება მქონდა თავიდან და შემდეგ შეიცვალა. აგრესიული დამოკიდებულება მოდიოდა მისგან და ალბათ ქალური შური (ა.ქ., 28 წლის)

დედამთილის მიმართ დადებით დამოკიდებულების მქონე რესპონდენტების ნარატივებიდან იკვეთება, რომ ისინი დედასთანაც კი აიგივებენ დედამთილს და ქმართან კონფლიქტების დროს მხარდაჭერას გრძნობდნენ, ერთად მუშაობენ, ისვენებენ და შვილისთვის მეორე დედის როლს ასრულებენ.

> ჩემი ყოფილი დედამთილი და მე ერთად ვმუშაობთ, გვაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა, შვებულებასაც ერთად ვატარებთ და გვიხარია ყოველთვის ერთად ყოფნა (ნ.ნ. 28 წლის)

> მეუღლის მშობლებთან ისეთი კარგი ურთიერთობა მაქვს და მქონდა, რომ ვიყავი ძალიან ბედნიერი მათთან თანაცხოვრობის პერიოდში. ამ გადმოსახედიდან, ამდენ ახალ ადამიანთან თანაცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა, რომ არა მათი დამოკიდებულება, საერთოდ ერთ დღესაც კი ვერ გავძლებდი, იქ თავს ზედმეტად ჩემს სახლში ვგრძნობდი (ნ.ხ., 23 წლის)

რესპონდენტებმა ისაუბრეს განქორწინების მიზეზების შესახებ, თითოეული მათგანის შემთხვევაში, არ იყო გამოვლენილი ერთი კონკრეტული მიზეზი, არამედ მიზეზთა ჯგუფი. განქორწინების მიზეზები კი ასე გამოიყურება: მეუღლის მშობლებთან თანაცხოვრება, მატერიალური სიდუხჭირე, დედამთილის ჩარევა წყვილის საქმეში, ქმრის არარეალიზებულობა, ხასიათის შეუთავსებლობა, ქმრის ღალატი, ალკოჰოლიზმი.

მშობლებთან თანაცხოვრება არის ერთ-ერთი მიზეზი ქორწინების მოშლისა. წყვილი თავისუფლად ვერ გრძნობს თავს მშობლების სახლში, მეტია შეზღუდულობის ხარისხი და წყვილის ცხოვრებაში ჩარევის მცდელობები. დედამთილის მხრიდან გადამეტებული ყურადღება და მზრუნველობა შვილის მიმართ, შესაძლოა რძლის მხრიდან აღქმული იყოს როგორც ზედმეტი ჩარევა მის და მისი ქმრის ურთიერთობაში, რაც ხდება ხოლმე უკმაყოფილების გამომწვევი და ოჯახის დანგრევის ერთ-ერთი წინაპირობა. ასევე თანაცხოვრებაში

აღმოჩენილი ხასიათის შეუთავსებლობა, დროთა განმავლობაში ღირებულებების ცვლილება იწვევს რესპონდენტთა აზრით განქორწინებას.

> მოხდა ისე, რომ თანაცხოვრებაში ერთმანეთის ხასიათს ვერ შევეწყვეთ. თან მას ისეთი მშობლები ჰყავდა, დედა, ცოტა ქართული ხასიათის მქონე. ქართული მამაკაცები ცოტა დედების ზეგავლენის ქვეშ ექცევიან ხოლმე. ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ეს ბევრი ხალხი, რომ აუცილებლად უნდა გეკეთებინა საჭმელი, აუცილებლად სამსახურიდან რომ მოხვალ, ეჭვიანობები და ა.შ. სტანდარტულად, როგორც ინგრევა ხოლმე ოჯახები ყველაფერი ერთმანეთს დაემატა (ა.ქ. 28 წლის)

ადრეულ ასაკში ქორწინება ხდება კიდევ ერთი განქორწინების გამომწვევი მიზეზი. ადრეული ქორწინება უფრო მეტი ალბათობით სრულდება განქორწინებით, რადგან ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან იმისთვის, რომ ქორწინების პასუხისმგებლობები გაიაზრონ (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017). ამ მიზეზს ჩვენი რესპონტენტების ნარატივებშიც ვხვდებით.

> პატარები დავქორწინდით რომ გავიზარდეთ მივხვდით რომ სხვადასხვა ინტერესები შეხედულებები და წარმოდგენები გვქონდა ცხოვრებაზე შვილების მომავალიც კი განსხვავებულად გვესახებოდა (მ.მ., 24 წლის)

ჩვენი მონაცემები ადასტურებს მზია ბექაიას მიგნებებს, რომ ქორწინება ადრეულ ასაკში, ღალატი, ძალადობა როგორც ცოლის, აგრეთვე ბავშვის მიმართ, ალკოდამოკიდებულება, სექსუალური ძალადობა, სიღარიბე, ცოლ-ქმრის მშობლების მათ ცხოვრებაში ჩარევა და სხვა (სულაბერიძე & სულაბერიძე, 2014).

4.2. განქორწინების შედეგები

რესპონდენტები საუბრობდნენ განქორწინების შესახებ წარმოქმნილი სირთულეების შესახებ. მთავარი სირთულე იყო მატერიალური სიდუხჭირე, რის გამოც იძულებულნი იყვნენ დედმამისეულ სახლში დაბრუნებულიყვნენ. დაბრუნების შემდეგ მათ კიდევ ექმნებოდათ სირთულეები მშობლების მხრიდან მათი განქორწინების მიმღებლობასთან დაკავშირებით, გამუდმებული კონტროლი. მათი ახალშეძენილი სტატუსის მიმართ საზოგადოება გამოხატავდა მძაფრ ინტერესს, რასაც მოყვებოდა ამბის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

> განქორწინების შემდგომი პერიოდი იყო ურთულესი. დავრჩით მე და ჩემი შვილი მარტო, ჩემი მშობლებს თავიდან გაუჭირდათ ამ ფაქტის მიღება მაგრამ მოგვიანებით, ალბათ უფრო ბავშვის გამო დავბრუნდი სახლში და გავაგრძელე მათთან ერთად ცხოვრება. პარალელურად დავბრუნდი სამსაურში (ხ.ნ., 25 წლის)

მძიმე იყო მათი ემოციური მდგომარეობა განქორწინების შემდეგ, იმ შემთხვევებშიც კი, როცა თავად ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიიღეს ეს გადაწყვეტილება. მათ აწუხებდათ დანაშაულის შეგრძნება, როგორც შვილების, აგრეთვე საკუთარი მშობლებისა და სხვა ოჯახის წევრების მიმართ. დანაშაულის გრძნობას იწვევდა გარშემომყოფების რეაქციები, ინტერესი მიზეზების მიმართ და მუდმივი კითხვები. მათ თან სდევდათ მუდმივი შიში იმისა, რომ აღარ ექნებოდათ პირადი ცხოვრება, საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული განწყობა განქორწინებულის სტატუსის მიმართ, კიდევ უფრო ამძიმებდა მათ ემოციურ ფონს, განუვითარდათ არასრულფასოვნების კომპლექსი. ისინი თავს გრძნობდნენ დაჩაგრულად, მაგრამ საზოგადოებისთვის ცდილობდნენ დაემალათ თავიანთი ემოციები და არ შეემჩნიათ.

> ძაან სტერეოტიპები იყო ჩემ გარშემო, მეგონა, რომ ამის მერე პირადი ცხოვრება არ მექნებოდა, სულ წნეხის ქვეშ ვიქნებოდი. მაგრამ

> განვვითარდი, გავძლიერდი. თუმცა ქვეცნობიერად შიშის გრძნობა მაქვს. კი მოვიხსენი კომპლექსები, მაგრამ მაინც დამრჩა. აი თუნდაც საქართველოში რომ არის განათხოვარის კომპლექსი, სტატუსი, იყო და არის ამჟამად, მაინც მოქმედებს (ა.ქ. 28 წლის)

რესპონდენტები შიშობდნენ, რომ მათი განქორწინების მიმართ დამოკიდებულება უარყოფით რეზონანსს გამოიწვევდა მეგობრების მხრიდან. რის გამოც სირცხვილის გრძნობა ეუფლებოდათ და მეგობრებთან კომუნიკაციისგანაც თავს იკავებდნენ.

> 18 წლის ვიყავი, უამრავი პრობლემა დამატყდა თავს, აღარც მეგობრებითან გამესვლებოდა (ნ.დ., 23 წლის)
>
> მე ზოგადად არ მიყვარს ჩემი ოჯახის პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა, ამიტომ დიდად არ ჰქონდათ ინფორმაცია. განა ჩემს მეგობრებს არ ვენდობი, უბრალოდ მგონია რომ ცოლ-ქმრის პრობლემებზე ყველას არ უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, და ვერც ვერაფერში დაგეხმარებიან (ხ.დ. 30 წლის)

იმის გამო, რომ ქართულ საზოგადოებაში არსებობს ბევრი სტერეოტიპი, მათ შორის განქორწინებული ქალების მიმართაც, სტიგმატიზაცია ინტერპერსონალურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ დონეზე, გავლენას ახდენს მათ ემოციურ ფონზე. განქორწინებულის სტატუსის გამო, შესაძლოა საზოგადოებამ, რომელიც არის სტერეოტიპულად მოაზროვნე, ისინი უარყოს და მიიჩნიოს დევიანტად (Willers, 1993). ჩვენი რესპონდენტების შემთხვევაშიც ასე მოხდა, მათ ჰქონდათ „ნორმალური“ საზოგადოების შიში, იმის გამო, რომ მათ დამნაშავედ მიიჩნევდნენ. როგორც ლიტერატურიდან გამოჩნდა, მსგავსი მდგომარეობაა ისრალეშიც, 28 წლის ებრაელი მასწავლებელი ქალბატონის ნარატივის მიხედვით, განქორწინება ისრაელში ნიშნავს სტიგმას. განქორწინებული ქალი თავს გრძნობს დამნაშავედ და თავის მართლება უწევს (Katz & Pesach, 1985).

ზემოაღნიშნულმა ემოციებმა რიგ შემთხვევაში დადებითად იმოქმედა, ემოციურად გააძლიერა რესპონდენტები, გაათავისუფლა არსებული მძიმე მდგომარეობიდან, თავისუფლების შეგრძნება მათთვის საუკეთესო ჯილდო იყო ოჯახში დაძაბულობის შემდეგ, ხოლო რიგ შემთხვევაში შიში და მიმდინარე ეტაპისადმი გადაულახავი პრობლემები დაუტოვა.

> რა თქმა უნდა, ახლაც არ ვარ მდგმარეობიდან გამოსული, საშინელი კვალი დატოვა, დამეწყო შიშები, ნერვიულობა, უძილობა. შვილებზე ფიქრი არ მაძლევდა მაგის გაკეთების უფლებას თორემ თავს მოვიკლავდი ალბათ, სიცოცხლეც აღარ მინდოდა (ხ.დ. 30 წლის)

> გამაძლიერა. ადრე დარწმუნებული ვიყავი, რომ ძაან სუსტი ვიყავი, რაღაცნაირად მე შევქმენი ძლიერი ქალი. ადრე ყველაფერზე ვიღაცეებს ვეკითხებოდი აზრს, ახლა მე თუ მინდა მაშინ ვაკეთებ. რომ ხვდები, რომ მარტო ხარ, მერე სხვაგვარად აპრიორიტეტებ. რომ ხვდები, რომ ვიღაცას ეცოდები, ძალიან ცუდი გრძნობაა, მაშინ მივხვდი, რომ საკმარისად ძლიერი ვარ იმისთვის, რომ არავის ვეცოდებოდე (ნ.ხ. 24 წლის)

განქორწინების/განშორების შემდეგ ჩვენს რესპონდენტებს, იმის გამო, რომ არ ჰქონდათ საკუთარი საცხოვრებელი ფართი და შესაბამისი შემოსავალი, იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ მშობლებთან საცხოვრებლად. ეს ფაქტი მათ ემოციებს მეტად ამძიმებდა, მათი აზრით ტვირთად აწვებოდნენ მშობლებს და რცხვენოდათ მათი.

> განქორწინების შემდეგ გადავედი ჩემს მშობლებთან, ხოლო შემდეგ როცა სამსახური ვიშოვე და დამოუკიდებლად გადავწყვიტე ცხოვრება, რათ ა ჩემი მშობლების ხარჯზე არ მეცხოვრა, თუმცა ბავშვის გაზრდაში ჩემი მშობლები რა თაქმა უნდა მეხმარებიან, რადგან რომ არა ისინი ბავშვს ვერ დავტოვებდი და სამსახურშიც ვერ ვივლიდი (მ.წ. 21 წლის)

განქორწინების შემდეგ ყველაფერი ჩვეულ რეჟიმშია. გავაგრძელე მუშაობა, ვამთავრებ უნივერსიტეტს. უბრალოდ, კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი ჩემის შვილზე (ნ.ა. 23 წლის).

ყოფილი ქმრების დამოკიდებულება განქორწინების/განშორების შემდეგ ბავშვების მიმართ სხვადასხვაგვარია, გაუმჯობესებული მზრუნველობის ხარისხიდან სრულ უყურადღებობამდე ვლინდება. ნაწილი მათგანი განქორწინებამდე ყურადღებიანი იყო, შემდეგ კი გაცივდა ბავშვთან მიმართებით, ნაწილი კი პირიქით, მეტ მზრუნველობას, სითბოსა და მატერიალურ მხარდაჭერას ავლენს ბავშვის მიმართ. მამის ყურადღებიანობა შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ქორწინების პერიოდში იგი ვერ აცნობიერებდა შვილთან ერთად ყოფნის ბედნიერებას, ხოლო განქორწინების შემდეგ, მან მეტად დააფასა ის, რაც დაკარგა. რაც შეეხება სრულ უყურადღებობას, შესაძლოა ეს იყოს გამოწვეული მამის დანაშაულის შეგრძნებით, მას ეუხერხულება ბავშვთან კომუნიკაციაც კი. აგრეთვე შესაძლებელია მეუღლესთან მისი ცუდი ურთიერთობა ბავშვის მიმართ გულგრილობაში გამოიხატა.

ვთვლი რომ ჩემს შვილს ძალიან გაუმართლა, იმიტომ რომ ჰყავს ძალიან კარგი მამა, სხვა ოჯახებთან შედარებით, გარშემო ბევრია განქორწინებული და ვადარებ, ვიცი რა დამოკიდებულება აქვთ, ჩემს შვილს ძაან გაუმართლა, იმიტომ რომ მამამისი ყოველ დილით მოდის, სკოლაში მიყავს, ჩართულია ბავშვის ცხოვრებაში აქტიურად და მატერიალურადაც ეხმარება“ (ნ.ნ., 28 წლის)

არა არანაირ ინტერესს არ იჩენს, ბოლოს 10 თვის იყო რომ ნახა, ახლა რამხელა გოგოა და მამა არც ჰყავს ნანახი. გვარის შეცვლაც კი მინდა ბავშვისთვის, მაინც არაფერში არგია მამა(ხ.დ. 30 წლის)

4.3.პირველად ჯგუფებთან ინტეგრაცია

განქორწინებული ქალის მშობლების დამოკიდებულება, რესპონდენტების ნარატივების მიხედვით არაერთგვაროვანია, რიგ შემთხვევაში მშობლები შვილების გადაწყვეტილებას პატივს სცემენ და უპირობოდ იღებენ მათ, ხოლო რიგ შემთხვევებში - ჰქონდათ მათი აზრის შეცვლის მცდელობები.

> ჩემი მშობლების რეაქცია განსხვავებული იყო საზოგადოების სხვა წევრებისაგან. ისინი ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ თუ კარგად არ ვიყავი გადამედგა ეს ნაბიჯი, არ შემშინებოდა სირთულეების და ბავშვთან ერთად მეზრუნა საკუთარ ბედნიერებაზეც (ნ.ბ., 24 წლის)

> მიმატოვეს. ძალიან გაუჭირდათ გადატანა, თავიდან ეგონათ რომ ეს დროებითი გაგულავება იყო ჩემი ქმრის. დამიწყეს რაღაც შეზღუდვები, თუმცა, მაგ კუთხით მყარად დავდექი(ბ.ბ., 25 წლის)

რესპონდენტების მშობლები რიგ შემთხვევებში ცდილობდნენ შეეცვალათ მათი გადაწყვეტილება, ამას სხვადასხვა ფორმით აკეთებდნენ, როცა ქმარი არ ძალადობდა ცოლზე. მოძალადე ქმრის შემთხვევაში კი მოხარულები იყვნენ შვილის ამ გადაწყვეტილების და მათ მხარს უჭერდნენ.

> კი ჰქონდათ, ძირითადად დედა ცდილობდა და ჩემი ყოფილი მეუღლის მშობლები. ძალიან ეცადნენ, რომ ეს სიტუაცია მოეგვარებინათ (ნ.ნ. 28 წლის)

> ეგ რაღაც დღემდე გრძელდება მსუბუქად. იციან, რომ არ უნდა აპატიო ის რაც ვაპატიე და ამიტომ ვერ მაძალებენ, დარწმუნებული ვარ, რომ ყოფილი მეუღლის დედას მამას დას ძმას, ყველას სჯერა, რომ ბოლოს ერთად ვიქნებით (ნ.ხ. 24 წლის).

> მშობლებს ჩემი გადაწყვეტილების შეცვლის მცდელობა არა არ ჰქონიათ. ყოფილმე ქმარმა რომ მოინდომა ჩემთან დაკონტაქტება რაღაც პერიოდის შემდეგ, დედაჩემი ეჩხუბა და ჩვენთან მოახლოებაც კი აუკრძალა (ბ.ბ. 25 წლის).

განქორწინებული ქალის ოჯახის წევრები განქორწინების წინააღმდეგები იყვნენ რელიგიური არგუმენტის გამოც, მათი აზრით ჯვარის დაწერის შემდეგ მარტივად ოჯახის დანგრევა დანაშაულია. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი, რომელსაც უპირისპირებდნენ შვილის გადაწყვეტილებას.

> ოჯახი მეუბნებოდა, რომ მოითმინე, სულ ამას მეუბნებოდნენ. ასე მარტივად ოჯახის დანგრევა არ შეიძლება. სულ ამბობდნენ რომ მოითმინე. არ შეიძლება, ჯვარი გაქვს დაწერილი, როგორ შეიძლება ოჯახი დაანგრიო, და მსგავსი დამოკიდებულებები (ა.ქ. 28 წლის)

განქორწინებული ქალები დედ-მამის სახლში გადასვლის შემდეგ თავს გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში, თითქოს ბავშვობაში დაბრუნდნენ. თუმცა, დადებით ემოციებთან ერთად, მშობლების მხრიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებოდნენ უარყოფით დამოკიდებულებას, კერძოდ, უნდობლობას. ისინი მზრუნველობას ავლენდნენ როგორც ქალიშვილის, აგრეთვე შვილიშვილების მიმართ, მაგრამ ქალიშვილების გრაფიკს მკაცრად აკონტროლებდნენ, რის მიზეზიც, როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში იკვეთება, საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება განქორწინებული ქალის მიმართ შეიძლება იყოს. გუპტას და სხვების მიხედვით, განქორწინებული ქალის მიმართ საქართველოში არსებობს სტერეოტიპი, რომ იგი არის პოტენციური მეძავი, რადგან მას აღარავინ აკონტროლებს, შეუძლია ჰქონდეს თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017, 63).

> თავიდან ზედმეტად გამიჭირდა, სადმე რომ მივდიოდი,"სად ხარ, როდის მოხვალ", ამ ყველაფერს გადაჩვეული ვიყავი..., იმისი ეშინოდათ, რომ ძაან გაბრაზებულზე ძაან ცუდი რაღაც არ მექნა იმ დროს. მე ვუშვებ ამას რომ იმ დროს იყვნენ ძაან ფრთხილად, რომ არ სიამოვნებდათ ხოლმე, ცხრა საათის მერე რომ სადღაც ვიყავი პანიკაში იყვენენ ხოლმე. ძალიან გადაჩვეული ვიყავი ამ ყველაფერს (ნ.ხ. 24 წლის)

> მამაჩემმა დარეკვას მოუხშირა და მეტადაა ჩართული ჩემი და ბავშვების ცხოვრებაში, მატერიალურადაც ცდილობენ უფრო დამეხმარონ, არც იქამდე აკლებნენ ხელს მაგრამ ახლა განსაუთრებით (ბ.ბ. 25 წლის)

მშობლების ოჯახში ცხოვრებისას, რესპონდენტები მეტ-ნაკლებად ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა არის შემთხვევები, როცა თავიანთი სურვილით არ ერთვებიან საოჯახო საქმეებში, გადაწყვეტილების მიღებაში, იმ მიზეზის გამო, რომ თავის სახლად ვერ აღიქვამენ მშობლების სახლს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ შეხედულების მიზეზი იყოს საზოგადოებაში დამკვიდრებული რელიგიური და მორალური ტრადიციები, რომლის მიხედვითად კერძო საკუთრება ქალიშვილს არ უნდა გადასცენ, მათი კანონიერი მემკვიდრე ვაჟია (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017, 63).

> ნებისმიერ გადაწყვეტილებისას ვიზიარებთ ერთმანეთის აზრს, ეს შეეხება ფინანსურს თუ რაიმე პირად გადაწყვეტილებას ყოველთვის ჩართული ვარ და ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრებს(მ.მ., 24 წლის)

> ჩემი ბრალია ეს ყველაფერი, რომ არ ვარ ჩართული. მაგალითს მოგიყვები, რომ დაიწყეს ჩემი ოთახის გარემონტება, შპალერი, ფერები და ა.შ. ავიღე ბარგი, გადავედი ჩემს მეგობართან საცხოვრებლად და რომ გააკეთეს მერე დავბრუნდი, იმდენად არ მაინტერესებდა. ხომ ჩემი სახლია, იქ გავიზარდე, იქ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემად ვერ აღვიქვამ, ზუსტად ვიცი, რომ ჩემი სახლი

> მექნება. წესით ჩემად უნდა აღვიქვამდე, მაგრამ არაფერი არ მაინტერესებს, რომ მეტყვის დედაჩემი“ნახე დედა ეს გავაკეთე, ეს ვიყიდე“, ნუ კარგია კი, მაგრამ არ მაინტერესებს. მაინც მგონია, რომ ჩემი სახლი მექნება, ჩემივე ფერებში და ა.შ. (ნ.ხ. 24 წლის)

მშობლების მხრიდან შვილებისადმი დამოკიდებულების ცვლილება აღინიშნება როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი კუთხით. რიგ შემთხვევებში მეტად ყურადღებიანები არიან, ან არ შეცვლილა სიტუაცია, ან კონტროლი გაამკაცრეს და მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფებენ.

> ახლა უფრო მეტ ყურადღებას მაქცევენ მეც და ბავშვსაც (ხ.ნ. 25 წლის).
>
> დამოკიდებულება არ შეცვლილა, მათი შვილი ვიყავი ვარ და ვიქნები. არ შეცვლილა, პირიქით, მხარში მიდგანან, ცდილობენ მარტო არ დამტოვონ, ჩემი მხრივაც ვცდილობ ვასიამოვნო მათ (მ.წ. 21 წლის)

მშობლების რეაქცია შვილის განქორწინების შემდეგ სახლში დაბრუნების შემდეგ, ეხმიანება ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ „პატრონის“ცნებას. „პატრონი“ ქორწინების პერიოდში არის ქმარი, ხოლო განქორწინების შემდეგ ხდება კვლავ მამა, ორივე მშობელი.

> გათხოვილი რომ ვიყავი ქმარს თვლიდნენ ჩემს უფროსად და არაფერს მეკითხებოდნენ, და ახლა რახან მარტო ვარ ფიქრობენ რომ უნდა მეუფროსონ (ხ.დ. 30 წლის)

რესპონდენტების მეგობრების რეაქცია მათ განქწორინების გადაწყვეტილებაზე არაერთგვაროვანია. უპირველესად მეგობრები გაოცებას გამოხატავენ, რადგანაც ოჯახის სიმტკიცის ტრადიციიდან და განქორწინებული ქალბატონების მხიდან პრობლემებზე ნაკლები საუბრის გამო, ვერ წარმოედგინათ, რომ მსგავსი ფაქტი

მოხდებოდა. ნაწილი მეგობრებისა ცდილობდნენ გადაერწმუნებინათ მეგობარი, რომ გადაწყვეტილება შეეცვალა და ფიქროდნენ, რომ მოეთმინა მას არსებული მდგომარეობა.

> ჩემი მეგობრების უმრავლესობასაც, ოჯახის წევრების მსგავსად ძალიან სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემს განქორწინებაზე. ისინიც თვლიდნენ, რომ ის ნაბიჯი იქნებოდა სწორი, რომელიც მე თავს კარგად მაგრძნობინებდა. თუმცა რამდენიმე იყო ისეთიც, რომელიც თვლიდა, რომ ცოტა ხანი კიდევ უნდა მომეთმინა, ამეტანა და შემდეგ ყველაფერი დალაგდებოდა (ნ.ბ. 24 წლის)

რესპონდენტების ნარატივებში შეინიშნება შემდეგი ტენდენცია: განქორწინების შემდეგ, ნაწილი მეუღლეების საერთო მეგობრებიდან ცოლის მხარეს იჭერს და წყვეტს ქმართან ურთიერთობას და პირიქით, წყვეტენ ცოლთან კავშირს და მეგობრობას ქმართან განაგრძობენ. მსგავსი ტენდენცია იკვეთება ისრაელში ჩატარებულ კვლევაშიც. ბევრი განქორწინებული ქალი, განქორწინების აქტის შემდეგ, შორდება ადრინდელ მეგობრებს, განსაკუთრებით მათ, ვინც მეგობრობის გაგრძელება ყოფილ ქმართან გადაწყვიტეს (Katz & Pesach, 1985).

> მეგობრებს ძალიან გაუკვირდათ, რადგან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა მე და ჩემს ყოფილ ქმარს და საერთო სამეგობრო წრე გვქონდა. ჩემი მეგობრები უფრო აქტიურად ცდილობდნენ, რომ გვერდში დამდგომოდნენ და მისი მეგობრები საერთოდ გაქრნენ ჩემი ცხოვრებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ერთად დავდიოდით დასასვენებლად, ფაქტობრივად ერთად ვცხოვრობდით (ნ.ნ. 28 წლის)

მეგობრების დახმარება განქორწინების შემდგომ პერიოდში გამოიხატებოდა მუდმივი საუბრით სხვა თემებზე, ოთახიდან გარეთ გაყვანაში, მორალურად მხარში დგომაში და ა.შ. აძლევდნენ პრაქტიკულ რჩევებსაც, როგორიცაა ჯადოს გაკეთება, რაც კულტურულ-სპეციფიკურ მახასიათებლად შეიძლება ჩავთვალოთ.

> მორალურად დამეხმარნენ, ცდილობდნენ მუდმივად სხვა რამეზე გადამეტანა ყურადღება, მათი საუბრები მამშვიდებდა და აღარ ვიყავი მუდმივად ჩემს ცხოვრებაში მომხდარ უბედურებაზე კონცენტრირებული (მ.მ. 24 წლის)

> მაგ დროს გამოჩნდა ვინ იყო ჩემს გვერდით. ჩემი ნამდვილი, უკვე გაფილტრული მეგობრები საერთოდ არ მელაპარაკებოდნენ ამ თემაზე, უბრალოდ ცხოვრებას მანახებდნენ, გარეთ გავყავდი, ვიცი რომ ძაან რთულია, სხვის შემთხვევაში, არ ვიცი მე როგორ ვიქნები ეგეთი მაგარი მეგობარი. ადამიანს ამხელა სტრესი აქვს და არაფერზე არ დაელაპარაკო და საყვარელ ადგილას წაიყვანო. ანახო რომ ცხოვრება რა მშვენიერია, ძაან რთულია. მათთან ყოფნის დროს ყველაფერი მავიწყდებოდა, სახლში რომ მოვდიოდი ვუბრუნდებოდი ჩემს თავს. სულ მინდა, რომ უკან დავუბრუნო მათ ეს სიკეთე (ნ.ხ. 24 წლის)

> ძალიან დამეხმარნენ, ხშირად იყვნენ ჩემთან, მელაპარაკებოდნენ, ცდილობდნენ ყურადღება გადამეტანა, უარეს ამბებს მიყვებოდნენ, შეხედე ირგვლივ რა ხდება და შენ რის გამო იკლავ თავსო. რა ვიცი ჯადოთი დაწყებული, ის ქალი რომ თმებით უნდა გვეთრია იმით დამთავრებული ყველაფერი მითხრეს (ხ.დ. 30 წლის)

მეგობრების დამოკიდებულება განქორწინებული ქალბატონების მიმართ ხშირ შემთხვევაში არ შეცვლილა და კვლავ აგრძელებენ იმავე ფორმატში ურთიერთობას. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მეგობრები მათთან ურთიერთობას წყვეტენ განქორწინებულის სტატუსის გამო. ლიტერატურაში მოხსენიებული კვლევის მიხედვითც ასე ხდება, მეგობრები და ნათესავები ერთ-ერთ მეუღლეს დამნაშავეს უწოდებენ. ამის შემდეგ ისინი წყვეტენ რომელ მეუღლესთან განაგრძონ მეგობრობა განქოწინების შემდეგ და რომელ მათგანთან შეწყვიტონ (Willers, 1993).

ისინი სრულიად შეიცვალნენ თვლის მოხედვაში არ ვიცი რამ დააფრთხოთ, უბრალოდ ნელ ნელა ჩამომშორდნენ თან მაშინ როდესაც მჭირდებოდნენ ყველაზე მეტად (თ.ს. 30 წლის)

არანაირი განსხვავება არ ყოფილია დამოკიდებულებებს შორის, მე არ მიგვრძნია ყოველ შემთხვევაში (ხ.ნ. 25 წლის)

განქორწინებამდე უფრო იშვიათად ვნახულიბდი ჩემს მეგობრებს, ვიდრე დაშორების შემდეგ. ამიტომ ამ ფაქტით თვითონაც ბედნიერნი არიან, რადგან უკვე ცალკე ვცხოვრობ და მათაც უფრო ხშირად აქვთ შესაძლებლობა, რომ მესტუმრონ და ერთად გავატაროთ დრო (ნ.ბ. 24 წლის)

4.4. მეორად ჯგუფებთან ინტეგრაცია

განქორწინებული ქალის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო სამუშაოს არქონის შემთხვევები, რადგან მათი მატერიალური უზრუნველყოფა ამაზე იყო დამოკიდებული. ძალიან რთულად იდგა ეს პრობლემა, მათ უწევდათ ახალი საცხოვრისის მოძიება, იყვნენ მატერიალურად სუსტები, აქედან გამომდინარე იძულებული იყვნენ მშობლებთან დაბრუნებულიყვნენ, ფიქრობდნენ, რომ მათ მძიმე ტვირთად დააწვნენ და ცდილობდნენ მოეძიებინათ ისეთი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა თავიანთი და შვილის მოთხოვნილებებს. განქორწინებამდე უმუშევრობის მიზეზი კი არის ოჯახის წევრების უარყოფითი დამოკიდებულება ბავშვის მცირეწლოვნობის პერიოდში დედის მუშაობის, შესაბამისად ნაკლები ყურადღების მიმართ.

> განქორწინებამდე არ ვმუშაობდი, ვიყავი მხოლოდ დიასახლისი, ჩემი მეუღლე და მისი ოჯახის წევრებიც თვლიდნენ, რომ შვილი დედამ უნდა აღზარდოს, წინააღმდეგნი იყვნენ ჩემი მუშაობის და მეც, რატომღაც ვემორჩილებოდი. მუშაობა დავიწყე მხოლოდ განქორწინების შემდეგ და ახლა მგონია, რომ სამსახურს და ბავშვის აღზრდას მშვენივრად ვუთავსებ ერთმანეთს (ნ.ბ. 24 წლის)

თანამშრომლების რეაქცია ქალბატონების ახალშეძენილი სტატუსის მიმართ განსხვავებულია მათი სქესის მიხედვით. თანამშრომელი ქალების მხრიდან იგრძნობოდა სიბრალული და დიდი ინტერესი განქორწინების მიზეზების მიმართ, რაც მათი მხრიდან არა თანადგომის, არამედ ცნობისმოყვარეობის გამომხატველია. ხოლო მამაკაცების მხრიდან დაინტერესება, როგორც ადვილად ხელმისაწვდომი და სასურველი ქალის მიმართ, რაც რესპონდენტებში ნეგატიურ განცდებს იწვევდა. კვლევი ფარგლებში გამოკვეთილი ტენდენციები ეხმიანება ჰალემის(1982) მიგნებებს: განქორწინების შემდეგ ქალს გზა ეხსნება "ექსტაზის ბილეთისა და ამორალურობის ლიცენზიისკენ". გარდა ამისა განქორწინებული ქალი მეტად ძლიერია, ვიდრე განქორწინებამდე იყო, გამოუკიდებელია, ამიტომაც

იზიდავს დაქორწინებულ მამაკაცებს, მათთან ურთიერთობის შემთხვევაში, ისინი თავისუფალნი არიან პასუხისმგებლობებისგან. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური ხედვა განქორწინებული ქალებისა. ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი გენდერული სტერეოტიპები შესაძლოა იყოს მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი განქორწინებული ქალების სტიგმატიზაციისა. უფრო მეტიც, ასეთი სტერეოტიპები ხელს უწყობს გენდერულ განსხვავებებს განქორწინების სტიგმატიზაციაში (Willers, 1993).

> რაც არ უნდა ვისაუბროთ, რომ განვითარებულები ვართ, 21-ე საუკუნეა და ა.შ. არ არის ასე, მაინც სამსახურში გინდა, გარეთ გინდა, თანამშრომლებთან გინდა, მეგობრებთან გინდა, მაინც გიწევს ამ სტატუსის მორგება. მაინც განათხოვი, გამოთხოვდა, სახლიდან თვითონ წამოვიდა, ვერ მოითმინა, არ იზრუნა, რომ გამოესწორებინა სიტუაცია და მსგავსი რაღაცები მესმოდა სულ... მამაკაცების მხრიდან დამოკიდებულება იყო მძიმე, რომ ეს განათხოვია, ადვილად ხელმისაწვდომი. ჩემს თავში ვებრძვი ამას, ალბათ დროთა განმავლობაში გაივლის (ა.ქ. 28 წლის)

> თანამშრომელბის დამოკიდებულება შეიცვალა, განსაკუთრებით მამრობითი სქესი, უთქვამთ კიდეც, მოკლედ, გააქტიურება დაიწყეს ისეთმა ადამიანებმა, რომლებისგანაც არ მოველოდი, მეგობრებმაც კი, მეგობრები ვინც მეგონენ, საერთო მოეგბრებმაც კი. მოკლედ ძაან ცუდი რაღაცეებიც იყო. ძალიან ცუდად იმოქმედა. სტილიც კი შევიცვალე, მაშინ მინდოდა რომ ბიჭი ვყოფილიყავი და ეგრეც დავდიოდი. ეს არის ყველაზე ცუდი, რაც იმ დროს მათ შეიძლება ჩემთვის გაეკეთებინათ. ყველაზე გული მერეოდა. გოგოებისგანაც შეიცვალა დამოკიდებულება. პატარ-პატარა ბულინგის მსხვერპლი ვიყავი, ერთ ფრაზაში ცოტა ისეთში მაბულინგებდნენ. მაშინ ალბათ მძაფრადაც აღვიქვამდი ამ ყველაფერს, ახლა აღარ (ნ.ხ. 24 წლის)

რესპონდენტების ნარატივების მიხედვით, განქორწინებულის სტატუსი ნეგატიურ გავლენას ახდენს სამსახურის დაწყებაზე. იმ შემთხვევაში, თუკი რესპონდენტებს

პირადი გამოცდილება არ ჰქონიათ, სხვების გამოცდილებით ჰქონდათ ინფორმაცია მსგავსი ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ.

> სტატუსი არანაირ გავლენას ახდეს, არ მიგვრძნია არასდროს, არც არასდროს გაუმახვილებიათ ყურადღება სტატუსზე, ჩემ შემთხვევაში გავლენა არ მოუხდენია, სხვისი გამოცდილებით გამიგია დისკრიმინაციის ფაქტებზე (მ.წ. 21 წლის).

> სინამდვილეში იმიტომ არ მიყვარს გასაუბრებები და ახალი ადამიანები (სინამდვილეში ძალიან კომუნიკაბელური ვარ), რომ ეს თემა მაქვს ასახსნელი ყველასთან თავიდან, დიდი კითხვის ნიშანი აქვთ ხოლმე „რااااა?“ და მერე ყველას უნდა უხსნა.... აქამდე თუ შეიძლება ეთქვათ „უი რა კარგი გოგოა“ და აშ. ახლა ამბობენ, „შვილი ჰყავს, განქორწინებულია“ და თითქოს შენი რეიტინგი, ქულები ქვემოთ იწევს (იღიმის)(ნ.ხ. 24 წლის)

მეზობლებისა და ნაცნობების რეაქცია რესპონდენტების განქორწინების მიმართ ერთგვაროვანია, ისინი გამოხატავენ ყალბ ემპათიას, ავრცელებენ ხმებს და თხზავენ სხვადასხვა არარეალურ ამბებს. ამის გამო, როგორც ლიტერატურაში იკვეთება, განქორწინებული ადამიანები იძულებულნი არიან მათ გარშემო წარმოქმნილი ინფორმაციები მართონ, რათა არ იყვნენ სტიგმატიზირებულნი (Willers, 1993).

> ნაწილობრივ იყო თანაგრძნობა, ნაწილობრივ შეცოდება, „უი ეს რა დაგემართა“ ზუსტად ამ ტექსტით. თქვენ როგორ დაშორდით ერთმანეთს. ზოგადად ძალიან ღიად ვსაუბრობ ყველაფერზე, იმიტომ რომ ვფიქრობ რაც უფრო ღიად ვისაუბრებთ ყველა თემაზე, მით ნაკლები პრობლემა გვექნება. ეს დამოკიდებულება ეხებოდა ჩემს განქორწინებას, ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი, და შეძლებისდაგვარად, მარტივად მიიღეს (ნ.ნ. 28 წლის)

მთელი სამეზობლო ჩემზე ჭორაობდა, ოღონდ მართლა. იმას იძახდნენ რომ ჩემი ბრალი იყო და ზედმეტად ვეჩხუბებოდი, ზოგმა ისით თქვა ეტყობა უღალატაო. მაგრამ ყველაზე დიდი გულის ტკენა მაინც ის იყო ანასტასიაზე რომ თქვეს, ავადმყოფი ბავშვი რად უნდოდა და წავიდაო. არასდროს დამავიწყდება (დ.ხ. 30 წლის)

იცი რა, შესაძლოა ჩემი ოჯახი, იმდენად კარგად იდგა, რომ ჩემამდე არ მოუშვეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ იქნებოდა. რაღაც დიალოგებს შევესწარი და ჩემ თავში გადავხარშე და „დავიკიდე“. ჯერ კიდევ არის ჭორაობის მომენტები (ნ.ხ. 24 წლის)

ნაცნობებისა და მეზობლების დამოკიდებულება რესპონდენტების განქორწინებულის სტატუსის მიმართ არ შეცვლილა, მათ ნაკლებად აინტერესებთ ნაცნობების აზრი, შესაბამისად თავად შეცვალეს დამოკიდებულება მათ მიმართ. ცდილობენ ნაკლებად დაეკონტაქტნონ მათ, აუცილებლობის გარეშე მათ აღარ ეკონტაქტებიან. რაც შეეხება თანადგომას, გამოხატავდნენ სიტყვიერად, მაგრამ რესპონდენტების აზრით, ეს არ იყო გულიდან წამოსული, ეს იყო უბრალო სიტყვიერი ემპათია აუცილებლობით გამოწვეული.

ძირითადად მე შევცვალე დამოკიდებულება, იშვიათად ვეკონტაქტები და ვცდილობ ნაკლებად შევხვდე ან ვიფიქრო მათზე (მ.მ. 24 წლის)

მე შემეცვალა დამოკიდებულება, ატანა აღარ მაქვს არცერთის და თუ აუცილებელი არ არის არ ვეკონტაქტები (ხ.დ. 30 წლის)

თანადგომას რომ გითხრათ გულიდან მოდიოდათქო, მოგატყუებთ. იყო თვალთმაქცური თანადგომა, სიტყვიერი რა თქმა უნდა, ეს არ იყო ის თანადგომა რაც მეგობრებიდან და მშობლებიდან მოდიოდა, ვერც

დაავალდებულებ მეზობელს და ნაცნობს, რომ გვერდში დაგიდგეს (მ.წ. 21 წლის)

რესპონდენტების სამომავლო გეგმები უკავშირდება შვილის განათლებასა და საკუთარი კარიერის განვითარებას, მატერიალური სიძლიერისთვის ზრუნვას, ყველაფერ იმას, რისი განხორციელების სურვილი ჰქონდათ, თუმცა ქორწინების დროს ვერ შეძლეს. აგრეთვე მათი სამომავლო გეგმები უკავშირდება საკუთარი საცხოვრებელი ფართის შეძენასა და ცალკე საცხოვრებლად გადასვლას.

ჩემს გოგონსთან ერთად. ჩვენს პატარა სახლში მყუდრო გარემოში და ახალი წარმატებების განხორციელებისათვის ვიბძოლებ, რადგან მას ყველაფერი ჰქონდეს, რაც მე დამაკლდა (თ.ს. 30 წლის)

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უკვე მინდა, რომ მქონდეს ჩემთვის სასურველი სამსახური და ვიყო შემდგარი, ძლიერი და უფრო მეტად დამოუკიდებელი ქალი (ნ.ბ. 25 წლის)

პირველ რიგში ჩემი შვილის განათლების საკითხი მიდგას პირველ ადგილზე, მინდა რომ ყველაფერი გავუკეთო, რომ მომავალში წარმატებული ადამიანი იყოს, პატარაობიდანვე ვასწავლი მის უფლებებს, რომ გაუმარტივდეს ცხოვრება, და ჩემს ასაკში ბევრად უფრო შემდგარი იყოს ვიდრე ახლა მე ვარ. ჩემს პირადს რაც შეეხება, ვფიქრობ, არასდროს აღარ დავოჯახდები, რადგან ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, რაწამსაც გერქმევა ცოლი, რაწამსაც ბეჭედი გეკეთება ხელზე, მგონია, რომ იმ წამს ის ურთიერთობა ინგრება, იმიტომ რომ ჩნდება სხვადასხვა ვალდებულებები, პასუხისმგებლობა უფრო მეტი, უბრალოდ არ მიღირს კარგი ურთიერთობის ამ კუთხის დამთავრება(ნ.ნ. 28 წლის)

4.5.თვითსტიგმა

რესპონდენტების ნარატივებში იკვეთება თვითსტიგმის, განქორწინებულის სტატუსის გამო დანაშაულის შეგრძნების ელემენტები. ნარატივებში გამოკვეთილი თვითსტიგმისა და დანაშაული შეგრძნების ასპექტები ეხმიანება ლიტერატურაში განხილულ ვილერსის კვლევას, რომლის მიხედვითაც, განქორწინებულები ხშირად გრნობდნენ, რომ მეგობრები და ნათესავები ერთ-ერთ მეუღლეს დამნაშავეს უწოდებდნენ, ხოლო მეორეს უდანაშაულოს. კვლევაში გამოხატული შედეგები მანიშნებელია იმისა, რომ განქორწინების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, კვლავ ტრადიციულისკენ იხრება. ნებისმიერ შემთხვევაში, დამნაშავედ ცნობა ხელს უწყობს სტიგმატიზირებული განცდის გამძაფრებას. (Willers, 1993).

> კი მოვიხსენი კომპლექსები, მაგრამ მაინც დამრჩა. აი თუნდაც საქართველოში რომ არის განათხოვარის კომპლექსი, სტატუსი, იყო და არის ამჟამად, მაინც მოქმედებს. ისე ვართ საქართველოში გაზრდილები, რაც უნდა თავისუფლად გაზრდილი იყო, მაინც გავლენას ახდენს. ქვეცნობიერად მოქმედებს... მე თვითონ დამაკომპლექსა ამ მდგომარეობამ, დამოკიდებულების ცვლილება არ ყოფილა“ (ა.ქ. 28 წლის)

> თავი მეგონა ყველაზე დაჩაგრული ადამიანი,, არ მინდოდა ვინმეს გაეგო, რომ ვიღაცას არ შევცოდებოდი, ოღონდ ეგ არ ყოფილიყო, თუნდაც ყველაზე საუკეთესო მეგობრებს. თავი მეჭირა მაგარ გოგოდ, მერე მოვტყდი და მივხვდი, რომ მარტო ყოფნა მინდოდა“ (ნ.ხ. 24 წლის)

> სულ ვტიროდი, მეცოდებოდა ბავშვი, ჩემი მშობლები და ძმის ოჯახი, მე ვიყავი დამნაშავე თითქოს, ტვირთად დავაწექი ყველას, აღარც ნაცნობები მკითხულობდნენ მარტო დავრჩი ჩემი პატარათი ხელში“ (მ.მ. 24 წლის)

რესპონდენტებს თვითსტიგმის დაძლევაში ეხმარებათ თვითირონია და ამ თემაზე ღიად საუბარი, ისე რომ საზოგადოებას კითხვებს არ უტოვებენ.

> ზოგადად ძალიან ღიად ვსაუბრობ ყველაფერზე, იმიტომ რომ ვფიქრობ რაც უფრო ღიად ვისაუბრებთ ყველა თემაზე, მით ნაკლები პრობლემა გვექნება. ეს დამოკიდებულება ეხებოდა ჩემს განქორწინებას, ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი, და შეძლებისდაგვარად, მარტივად მიიღეს (ნ.ნ. 28 წლის)

> თვითირონია არის ჩემთვის გადარჩენა, იუმორით ვუყურებ ყველაფერს. ჩემს თავზე ვღადაობდი და საშუალებას არ ვაძლევდი, რომ ჩემზე რამე ეთქვათ (ნ.ხ. 24 წლის)

ზოგადი გარემო საქართველოში სტერეოტიპულია, სტიგმატიზირებულია განქორწინებული ქალის ცხოვრება, რადგანაც ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს სამსახური, ნაცნობ-მეგობრები, ოჯახის წევრებიც კი, უარყოფითად არიან განწყობილი და არცკი უშვებენ იმას, რომ ოჯახი შეიძლება დაინგრეს, აქედან გამომდინარე, მათი რეაქციებიც არის სტერეოტიპული გარემოს შესაფერისი. ლიტერატურიდანაც იკვეთება მსგავსი აქცენტები, საქართველოში ოჯახის დანგრევა ხშირია, მაგრამ საზოგადოება ამ აქტს არ იწონებს. განსაკუთრებით ზიანი ადგებათ განქორწინებულ ქალბატონებს, რომლებიც ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ სტიგმატიზირებულნი არიან, ნაკლები შანსი აქვთ ცხოვრება თავიდან დაიწყონ, იპოვონ ახალი პარტნიორი (გუპტა, ტეილორი, ლაურო, შენგელია, & სტურუა, 2017).

> მთელი ცხოვრება რომ არ მეთმინა რაღაცეები, ამიტომ წამოვედი. ქალი რომელიც ითმენს საქართველოში და იმის გამო ვერ წამოვა, რომ დედა რას იტყვის, მამა რას იტყვის და მეზობელ-მეგობრები რას იტყვიან, ამაზე არ მიფიქრია, ავდექი და წამოვედი და ძაან კარგად ვგრძნობ ახლა თავს... ძაან სტერეოტიპები იყო ჩემ გარშემო, მეგონა, რომ ამის მერე პირადი ცხოვრება

არ მექნებოდა, სულ წნეხის ქვეშ ვიქნებოდი... მაინც განათხოვი, გამოთხოვდა, სახლიდან თვითონ წამოვიდა, ვერ მოითმინა, არ იზრუნა, რომ გამოესწორებინა სიტუაცია და მსგავსი რაღაცები მესმოდა სულ.... ოჯახი მეუბნებოდა, რომ მოითმინე, სულ ამას მეუბნებოდნენ. ასე მარტივად ოჯახის დანგრევა არ შეიძლება. სულ ამბობდნენ რომ მოითმინე, მოითმინე. ... არ შეიძლება, ჯვარი გაქვს დაწერილი, როგორ შეიძლება ოჯახი დაანგრიო, და მსგავსი დამოკიდებულებები (ა.ქ. 28 წლის)

სადღაც ვიყავით თანამშრომლები წასული და ვიღაცამ თქვა ჩემს შესახებ და ყველას რაღაცნაირი რეაქციები ჰქონდათ, ვითომ არ იცოდნენ და გაუკვირდათ, ძაან სიყალბე დავინახე, რომ ეცოდები ერთ ორმოცდაათ ადამიანს, შენ ნელ-ნელა გადაგაქვს. საწყალო, ეგეთი რაღაც გამოუვიდათ. უცებ ყველამ ჩემზე დაიწყო ლაპარაკი, გასართობად ვიყავით წასულები და ორი საათი იყო ეს თემა. ყველას ცალ-ცალკე გავყავდი, რა მოხდა აინტერესებდათ. ძაან გამაღიზიანეს მაგ დროს (ნ.ხ. 24 წლის)

5.დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ საზოგადოებაში მრავლად არსებობს სტერეოტიპი განქორწინებული ქალების მიმართ. განქორწინებული ქალების ემოციური ფონი მძიმე იყო განქორწინებისას, ამ ფონს კიდევ უმეტად ამძიმებდა საზოგადოების სტერეოტიპული განწყობა. განქორწინებული ქალბატონები საზოგადოების კითხვებისგან თავის ასარიდებლად, ცდილობდნენ ეთამაშათ, არ გამოევლინათ თავიანთი მძიმე ემოციური ფონი. მათ ამ სიტუაციასთან გამკლევების მეთოდიც კი შეიმუშავებს, თვითირონია და ამ თემაზე ღიად, კომპლექსების გარეშე საუბარი.

პირველად ჯგუფებთან განქორწინებული ქალების ინტეგრაცია საბოლოო ჯამში რთული იყო, მშობლები ცდილობდნენ შეეცვალათ მათი გადაწყვეტილება განქორწინებასთან დაკავშირებით და ცდილობდნენ შეერიგებინათ წყვილი. განქორწინების შემდეგ, ქალის მიმართ მშობლების მხრიდან ჩნდებოდა უნდობლობის განცდა, ეს უნდობლობაც გამოწვეული იყო საზოგადოების შეხედულებიდან გამომდინარე განქორწინებული ქალის მიმართ, მშობლები აკონტროლებდნენ ქალის განრიგს მკაცრად.

მეგობრების მხირდან საინტერესო პოზიცია იკვეთება, ცოლ-ქმრის საერთო მეგობრები მათი განქორწინების შემდეგ სამეგობროდ ერთ-ერთი მეუღლის მხარეს იჭერენ და ურთიერთობას წყვეტენ მეორე მათგანთან. ის მეგობრები, რომლებიც განქორწინებულ ქალთან ურთიერთობას ამჯობინებენ, ეხმარებიან მათ ამ დიდი სტრესის გადატანაში, მხარში უდგანან, პატივს სცემენ მათ გადაწყვეტილებას.

პირველადი ჯგუფებთან ინტეგრაციასთან შედარებით, მეტად გაურთულდათ ინტეგრაცია მეორად ჯგუფებთან. მნიშვნელოვანი იყო ნაცნობების რეაქციის განსხვავებულობა სქესის მიხედვით. განქორწინებული ქალების ნაცნობი მამაკაცების მხრიდან გაიზარდა დაინტერესება, როგორც ადვილად

ხელმისაწვდომი და სასურველი ქალის მიმართ, რაც ჩვენს რესპონდენტებში მძაფრი ემოციის მომგვრელი იყო. რაც შეეხება ნაცნობ ქალებს, მათი მხრიდან იგრძნობოდა სიბრალული და ინტერესი განქორწინების მიზეზების მიმართ.

ჩვენი მოლოდინი, რომ განქორწინებული მცირეწლოვანშვილიანი ქალები მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან არამხოლოდ მეორად, არამედ პირველად ჯგუფებთანაც კი, კვლევის შედეგებით დადასტურდა,

გამოყენებული ლიტერატურა

გუპტა, ტ.პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ. (2017). *ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში - თვისობრივი კვლევის საბოლოო ანგარიში.* თბილისი, საქართველო და ვაშინგტონის ოლქი, აშშ; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, Promundo-US, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Exploring%20Harmful%20Practices%20of%20EarlyChild%20Marriage%20and%20FGMC%20in%20Georgia%20GEO.pdf

ეისითი(ACT) (2013). *საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში.* UNDP Georgia თბილისი ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი(CRRC-Georgia). *კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები საქართველო.* ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/JUSDVRS-by-RESPSEX/

კალჰუნი. ქ., ლაითი. დ., კელერი. ს., (2008), *სოციოლოგია.* ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ხელმისაწვდომია: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/Sotsiologia.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი, 1994-2018. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). *ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.* გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ევროკავშირი საქართველოსთვის. თბილისი, http://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2016/12/unite-to-fight-violence-against-women#view

სულაბერიძე, ა. & სულაბერიძე, ვ. (2014).*განქორწინების ტენდენციები საქართველოში 1960-2012 წლებში,* დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. pp. 22-38. ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39642.pdf

სუმბაძე, ნ.(2012). *თაობები და ღირებულებები,* საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.თბილისი. ხელმისაწვდომია: https://www.osgf.ge/files/publications/Taobebi_1.pdf

ჩიტაშილი, მ., ჯავახიშვილი, ნ., არუთინოვი, ლ., წულაძე, ლ. & ჩაჩანიძე, ს (2010).*ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში.* თბილისი. ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/GBV%20DV%20Survey_Geo_0.pdf

წულაძე, გ.(2005).*დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი.* გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). თბილისი, ხელმისაწვდომია: http://visuallyimpaireds.tsu.ge/wp-

content/uploads/2013/06/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98.pdf

ხეჩუაშვილი, ლ. (2016). სტერეოტიპი. ელექტრონული ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. მოძიებულია 20.06.2019 http://dictionary.css.ge/content/stereotypes

ჰაკერტი, რ. & სუმბაძე, ნ.(2017). *2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA). თბილისი ხელმისაწვდომია: http://census.ge/files/results/publication/ge/1.%20Gender_GEO_print-F_0.pdf

UNFPA, (2016). *გენდერული თანასწორობა, გენდერული ძალადობა.* თბილისი. ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/gender_Equality_GBV.pdf

UN Women Georgia, 2019, He for She campagne, Retrieved from http://georgia.unwomen.org/ka/search-results?keywords=Heforshe

Grameenphone. (2019 February 12), নতুন ভালোবাসা, Retrieved from https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=eArCSCLFv_o

Kalmijin. M. & Poortman. A.(2006). His or Her Divorce? The Gendered Nature of Divorce and Its Determinants, *European Sociological Review*, Vol. 22, No. 2 (Apr., 2006), pp. 201-214 Published by: Oxford University Press, Stable URL: https://www.jstor.org/stable/3559577

Katz. R. & Pesach. N. (1985). Adjustment to Divorce in Israel: A Comparison between Divorced Men and Women*, Journal of Marriage and Family*, Vol. 47, No. 3 (Aug., 1985), pp. 765-771, Published by: National Council on Family Relations, Stable URL: https://www.jstor.org/stable/352281

Maslauskaite.A., Jasilioniene. A., Jasilionis. D., Stankuniene. V. & Shkolnikov. V.M. (2015). Socio-economic determinants of divorce in Lithuania Evidence from register-based census-linked data, Source*: Demographic Research*, Vol. 33, pp. 871-908, Published by: Max-Planck-Gesellschaft zur Foerderung der Wissenschaften, Stable URL: https://www.jstor.org/stable/26332007

Price, S. J., & McKenry, P. C. (1989). Current trends and issues in divorce: An agenda for family scientists in the 1990s. *Family Science Review*. 2, 219-236. Stable URL: http://www.familyscienceassociation.org/sites/default/files/Vol%202%20No%203%20Article%201_0.PDF

Sieben,I. & Verbakel, E.(2013) Permissiveness Toward Divorce: The Influence of Divorce Experiences in Three SocialContexts, *Oxford University Press,*Vol. 29, No. 6,pp. 1175-1188,URL: https://www.jstor.org/stable/24480014

Thornton, A. (1985). Changing Attitudes Toward Separation and Divorce: Causes and Consequences, *American Journal of Sociology,* Vol. 90, No. 4 (Jan., 1985), pp. 856-872, Published by: The University of Chicago Press, Stable URL: https://www.jstor.org/stable/2779521

Willers, m.d. (1993). STIGMATIZATION OF DIVORCED PERSONS: EFFECTS OF MULTIPLE DIVORCE AND GENDER, *A Thesis Presented to the Faculty of California State University*, San Bernardino https://scholarworks.lib.csusb.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1659&context=etd-project

დანართი #1

ინტერვიუს გზამკვლევი

1. **განქორწინებული ქალების დემოგრაფიული მონაცემები:**
   გთხოვთ მოგვითხროთ თქვენს შესახებ:

ასაკი, შვილები და მათი ასაკი, განათლება, ამჟამინდელი დასაქმება,.*(თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მათგანზე არ ისაუბრებს, ჩავეძიოთ)*

2. **განქორწინების მიზეზები:**

   - გთხოვთ მოგვითხროთ თქვენი ქორწინების შესახებ? მარტო ცხოვრობდით თუ მეუღლის მშობლებთან ერთად? მეუღლე მუშაობდა თუ არა?
   - როგორი ურთიერთობა გქონდათ ოჯახის წევრებთან? რატომ?
   - ბავშვების მიმართ რამდენად ყურადღებიანია/იყო თქვენი ყოფილი მეუღლე?
   - განქორწინებულის სტატუსის შემდეგ გასული პერიოდი(თვე, წელი),
   - თქვენი აზრით, რაც გამოიწვია თქვენი განქორწინება? რატომ?

3. **განქორწინების შედეგები**

   - რა იყო ძირითადი სირთულე განქორწინების პერიოდში/შემდეგ? *(ჩაძიება)*

- გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი ემოციები განქორწინების, მის შემდგომ პერიოდში?
- როგორი გავლენა მოახდინა განქორწინების ფაქტმა თქვენზე? თქვენს თვითშეფასებაზე რამდენად მოახდინა გავლენა?
- განქორწინების შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი ცხოვრება? სად ცხოვრობთ, ვისთან ერთად ამჟამად?
- გარდა საკუთარი შემოსავლისა, გაქვთ თუ არა სხვა შემოსავლის წყარო?
- ბავშვის უზრუნველყოფისთვის როგორ გეხმარებათ თქვენი ყოფილი მეუღლე?

4. **პირველად ჯგუფებთან ინტეგრაცია**

- გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი მშობლების რეაქცია თქვენი განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებაზე
- რამდენად მოახდინეს გავლენა თქვენმა მშობლებმა თქვენზე? ჰქონდათ თუ არა მშობლებს თქვენი გადაწყვეტილების შეცვლის მცდელობა? რაში გამოიხატა?
- გთხოვთ მომითხროთ განქორწინების შემდეგ თქვენი მშობლებთან ყოველდღიური ურთიერთობების შესახებ?
- რამდენად მარტივი/რთულია მათთან თანაცხოვრება? რატომ? *(მხოლოდ მშობლებთან თანაცხოვრობის შემთხვევაში)*
- გარდა უშუალო კომუნიკაციისა, დღის განმავლობაში თუ გიწევთ მშობლებთან სატელეფონო კომუნიკაცია? რა საკითხებზე?
- რამდენად შეზღუდული ხართ სახლში გვიან დაბრუნების დროზე? *(მხოლოდ მშობლებთან თანაცხოვრობის შემთხვევაში)*

- რამდენად ინფორმირებულნი არიან თქვენი მშობლები თქვენი დღის განრიგის შესახებ? ინფორმირებულობა თქვენი სურვილიდან არის გამოწვეული თუ მშობლების სურვილიდან?
- რამდენად ერთვებით საოჯახო საკითხებში? (გადაწყვეტილებების მიღება)*(მხოლოდ მშობლებთან თანაცხოვრობის შემთხვევაში)*
- როგორ ზრუნავენ თქვენ მშობლები თქვენს შვილზე? რაში გამოიხატება?
- გთხოვთ შეადაროთ განქორწინებამდე და შემდგომი პერიოდი, შეიცვალა თუ არა მზრუნველობის ხარისხი თქვენი მშობლების მხრიან ბავშვის მიმართ? როგორ?
- გთხოვთ შეადაროთ მშობლების მხრიდან თქვენ მიმართ დამოკიდებულება განქორწინებამდე და განქორწინების შემდეგ?
- გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი მეგობრების რეაქცია თქვენი განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებაზე
- რამდენად დაგეხმარნენ მეგობრები განქორწინების შემდგომი პერიოდის გადალახვაში? როგორ დაგეხმარნენ?
- გთხოვთ შეადაროთ მეგობრების მხრიდან თქვენ მიმართ დამოკიდებულება განქორწინებამდე და განქორწინების შემდეგ?

5. **მეორად ჯგუფებთან ინტეგრაცია**

- გთხოვთ მოგვითხროთ თქვენი სამუშაო გამოცდილების შესახებ, როგორც განქორწინებამდე პერიოდში, აგრეთვე შემდგომ.
- როგორი ურთიერთობა გაქვთ თანამშრომლებთან?
- საქმიანი ურთიერთობის გარდა, გაქვთ თუ არა კომუნიკაცია არასამუშო საათებში? რა სახის კომუნიკაცია გაქვთ?

- განქორწინებამდე და განქორწინების შემდგომ პერიოდს თუ თვალს გადაავლებთ, შეიცვალა თუ არა რაიმე თანამშრომლების მხრიდან ურთიერთობაში? რა შეიცვალა? როგორ ფიქრობთ, რატომ?

სირთულეები სამსახურის ძიებისას განქორწინების შემდეგ:

- რა სირთულეებს წააწყდით სამსახურის ძიებისას? რით იყო განპირობებული ეს სირთულეები?
- თქვენი აზრით, სამსახურის ძიებისს გავლენას ახდენს განქორწინებულის სტატუსი? უფრო კონკრეტულად?

მეზობლების, სხვა ნაცნობების დამოკიდებულება:

- გთხოვთ გაიხსენოთ, მეზობლების, სხვა ნაცნობების მხრიდან განქორწინებასთან დაკავშირებული რეაქციები? როგორ გაიგეს მათ ამ ფაქტის შესახებ?
- რამდენად შეიცვალა მათი დამოკიდებულება თქვენ მიმართ?
- თუ გამოხატავდნენ თანაგრძნობას და რა ფორმით? ***(იყო ეს შეცოდება, გამხნევება და ა.შ.)*** რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებდით? ***(დადებითი, უარყოფით ფაქტი)***

6. **სამომავლო პერსპექტივები**

- გთხოვთ მოგვითხროთ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ
- მომდევნო 5 წლის განმავლობაში როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი?
- რამდენად იმედიანად უყურებს მომავალს?

გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის!

დანართი #2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Oliko Megrelishvili, Nani Tskhadadze

Social integration of women with infant children (integration in primary and secondary groups)

Sociology

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of Master of Sociology

Thesis supervisors: Lia Tsuladze,

PhD in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2019